# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 31 იანვარი 2007 №20 (2943) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაო ინგლისელებმა, ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეაო?

# დიპლომატიური ომი: გოგუა ბრიტანეთის საელჩოსთან დამარცხდა



ბუბა ჭოლოყაშვილის ფოტო

ნავსიანად და ნერვებწყვეტით დაიწყო გოგიტა გოგუას შოტლანდიურ „ჰართსში" გადასვლის ისტორია. ჯერ იყო და, მისი საკონტრაქტო უფლებების მფლობელმა ანდრეი ჩერვიჩენკომ ააგდო ქვა და „ჰართსსაც" და გოგიტასაც ფიფაუეფაში ჩივილით და დისკვალიფიკაციით დაემუქრა. მერე კი, ჩერვიჩენკოსთან მოლაპარაკებამ შედეგი რომ გამოიღო და გოგუას „ჰართსში" გადასვლას წინ თითქოს აღარაფერი ედგა, შარი ბრიტანეთის საელჩოდან მოვიდა...

„სამუშაო ვიზა მაქვს ასაღები და დღეს ბრიტანეთის საელჩოში რომ მივედი, არ შემიშვეს" — ეს სიტყვები გოგუამ „სარბიელს" 29 იანვარს უთხრა.

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ფაქტობრივად საათებიღა რჩებოდა, გოგიტა კი სამუშაო ვიზას გუშინაც ამაოდ ელოდა.

„არაფერი გამოვიდა. ჩათვალეთ, რომ „ჰართსში" ჩემი გადასვლა ჩაიშალა" — გვითხრა წუხელ გულგატეხილმა გოგუამ.

## ეს უკვე სერიოზულია: ლაბაძეც გამოირიცხა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს საკადრო პრობლემები არ ელევა: გუშინ ბუქარესტში შეკრებილმა ქართველმა „ლელოებმა" ძირითადი შემადგენლობის კიდევ ერთი მოთამაშე, გია ლაბაძე მოისაკლისეს.

ფრანგული „ტულონის" უნივერსალმა საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩში მხარი იტკინა და რუმინეთთან მისი თამაში საბოლოოდ გამოირიცხა. ლაბაძის არყოფნაში ძირითად შემადგენლობაში დაწინაურდა სამარქაფო გიორგი ნხაიძე, ხოლო სათადარიგოებში მის ადგილს ასევე უნივერსალი მორკინალი მამუკა მაგრაქველიძე დაიკავებს.

ლაბაძე ძირითადი შემადგენლობის მეშვიდე მორაგბეა, ვინც 3 თებერვლის საერთაშორისო მატჩში რუმინეთთან ვერ ითამაშებს. აქამდე „ლელოებს" სხვადასხვა მიზეზით გამოაკლდნენ თემურ სოხაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, გოდერძი შველიძე, მამუკა გორგოძე და რატი ურუშაძე.

„ლაბაძის არყოფნა უკვე სერიოზულად დაეტყობა ისედაც შესუსტებულ შემადგენლობას, მაგრამ უიმედოდ მაინც არ ვართ. ვფიქრობთ, სწორი ტაქტიკით და ლაღი თამაშით რუმინეთის დამარცხება სავსებით რეალურია. დილით უკვე ვივარჯიშეთ და მატჩამდე ორჯერად ვარჯიშებზე გადავალთ. საკადრო პრობლემების გარდა, არაფერი გვაწუხებს. ერთი ისაა, მთელი ღამე თოვდა, ახლა კი გადაიღო, თუმცა მოედანი დათოვლილია და სრულფასოვანი ვარჯიში ჭირს" — გვითხრა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა დავით ჩაველეიშვილმა, გუშინ ბუქარესტში რომ დავუკავშირდით.

რუმინეთ — საქართველოს მატჩი 3 თებერვალს ჩვენი დროით ოთხის ნახევარზე დაიწყება და მის პირდაპირ რეპორტაჟს ტელეკომპანია „მზე" გეგმავს.

# ფაბიოფობია მილანით დასრულდა

## რონალდო კუპრის ქვაბიდან ამოვიდა



მილანის „ინტერის" მეწილე, ფიფას ვერსიით მსოფლიოს სამგზის (1996, 1997, 2002) საუკეთესო ფეხბურთელი რონალდო გუშინ მადრიდის „რეალიდან" „მილანში" გადავიდა. მის სანაცვლოდ სილვიო ბერლუსკონიმ 7 მილიონ 500 ათასი ევრო გადაიხადა. „ფენომენისთვის" ამით დასრულდა კოშმარი და ჯოჯოხეთი. ასე უწოდა მან ცოტა ხნის წინ ფაბიო კაპელოს და მადრიდის „რეალს", გუნდს, რომელშიც თითქმის ხუთი სეზონი გაატარა.

1976 წლის 22 სექტემბერს დაბადებულმა რონალდომ კარიერა „კრუზეიროში" დაიწყო, საიდანაც პსვ-ში გადავიდა და 46 მატჩში 42 გოლი გაიტანა. ამას მოჰყვა ორი წელი „ბარსელონაში" და ხუთი სეზონი მილანის „ინტერში", საიდანაც დიდი დავიდარაბით და მოღალატის იარლიყით 2002-ში მადრიდის „რეალს" მიჰყიდეს. მაშინ „რეალმა" „ფენომენში" 39 მილიონი ევრო გაიღო.

დაახლოებით ათდღიანი ვაჭრობის შემდეგ რონალდო წინა პარასკევს ჩავიდა მილანში და სამედიცინო შემოწმება გაიარა, გუშინ კი 18-თვიანი კონტრაქტი გააფორმა „შავ-წითლებთან".

# გიორგი სიჭინავას დაუვიწყარი და სევდიანი ისტორიები



ბუბა ჭოლოყაშვილის ფოტო

## ნიჭის სიმბოლოდ აღიარებული ფეხბურთელი ახალგაზრდებს აფრთხილებს: ბედთან თამაში ცეცხლთან თამაშია, არ გადაიწვათ კარიერა




## მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის ნაცვლად ციხეში

თენგიზ პაჭკორიას ინტერვიუ გიორგი სიჭინავასთან იხილეთ 4-5 გვერდებზე

# ლომაიამ აშვეთიას გოლს ხელი მოაწერა





**გუშინ** საქართველოს ნაკრების ორი ფეხბურთელი მიხეილ აშვეთია და გიორგი ლომაია გერმანიაში ჩავიდნენ.

აშვეთიას იენის „კარლ ცაისთან" კონტრაქტი გაფორმებული აქვს, ლომაიას კი მხოლოდ ხელის მოწერაღა აკლდა...

ქართველი ფეხბურთელები იენის ნაცვლად ლაიპციგში ჩავიდნენ, სადაც „კარლ ცაისმა" ამხანაგური შეხვედრა გამართა „აილენბურგთან". სანამ კონტრაქტიანი აშვეთია ახალ გუნდში პირველად თამაშობდა, ლომაიამ ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი და მეორე ტაიმში კარშიც ჩადგა.

გუშინ *გიორგი ლომაიას* ლაიპციგში შევეხმიანეთ...

— კონტრაქტი უკვე გავაფორმე, „კარლ ცაისში" სეზონის ბოლომდე ვითამაშებ. თუ გუნდი მეორე ბუნდესლიგიდან არ გავარდა, კონტრაქტის გახანგრძლივებაზეც ვიფიქრებთ... უკვე თამაშიც მოვასწარით. მიშამ მარტო პირველი ტაიმი ითამაშა და გოლიც გაიტანა, მე მეორე ტაიმიდან ჩავერთე თამაშში და მშრალად შევინახე კარი — 2:1 მოვიგეთ...

–კლუბში კარგად შეგვხვდნენ, ძალიან გულისხმიერი ხალხია, ენის პრობლემა, რა თქმა უნდა, გვაქვს. საფეხბურთო ტერმინოლოგიას ასე თუ ისე კი ვგებულობთ, მაგრამ მეტი რა გითხრათ. გერმანულის მასწავლებლის დაქირავებას დაგვპირდნენ...

..თავიდან ალბათ სასტუმროში ვიცხოვრებთ, მე ჯერ იენაში არ ვყოფილვარ და დანარჩენს მერე ვნახავ...

...„კარლ ცაისს" მომდევნო თამაში 4 თებერვალს აქვს სტუმრად „კიოლნთან". სავარაუდოდ, ოფიციალური დებიუტი იმ მატჩში უნდა შედგეს, 5-ში კი ისევ საქართველოში ჩამოვალთ თურქეთის ნაკრებთან სათამაშოდ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ხორვატიული მარცხი სერბული სინჯით

**ანთალიაში** მყოფმა თბილისის „ამერმა" მეორე საკონტროლო მატჩი გამართა — ხორვატიის უმაღლესლიგელმა „სლავენ-ბელუპომ" 2:0 მოუგო თბილისელებს. თამაში კუნდუს საფეხბურთო ცენტრში გაიმართა, რომელიც „ამერის" სასტუმროდან 35 წუთის სავალზეა.

პირველი ტაიმი ძალიან ხისტი გამოდგა და თანაბარ ბრძოლაში გაილია. რეალური საგოლე მომენტი ერთადერთხელ შეიქმნა — რატი წინამძღვრიშვილმა მეკარის ბაქნის კუთხეში კარგი გადაცემა გაუკეთა გიზო ჯელაძეს, რომლის დარტყმულიც ძელმა აისხლიტა.

თამაში მეორე ტაიმშიც ხისტი იყო, თუმცა საგოლე მომენტებმა იმატეს. წინამძღვრიშვილი და სულიკო დავითაშვილი თითქმის პირისპირ დარჩნენ მეკარესთან, მაგრამ მცველებმა ბოლო წამს აართვეს ბურთი. ამას დავით ბოლქვაძის და ჯელაძის შორეული გასროლები მოჰყვა, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

მიუხედავად „ამერის" სათამაშო უპირატესობისა, ბურთი მაინც მის კარში გავიდა. მე-60 წუთზე მცველების ამოტანილ ბურთს ფეხი ჰაერშივე შეაგება მილენკო მუმლეკმა და ზურაბ ქვაჩახიას კარის ცხრიანში ჩასვა.

76-ე წუთზე „ამერი" ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნას შეეცადა, მაგრამ... ორი ხორვატი პირისპირ დარჩა მეკარესთან — საგოლე დარტყმა დარიო ზაჰორამ ითავა — 0:2.

დარჩენილ დროში რაიმე დასამახსოვრებელი აღარაფერი მომხდარა...

***ამერი:*** *ქვაჩახია, ელბაქიძე, დავითნიძე, ჩიკვილაძე, დიდავა (კაკაშვილი 68), მესხი (დობროვოლსკი 62), ჯელაძე, ბოლქვაძე (დეკანოსიძე 62), დოლიძე (მჭედლიშვილი 76), დავითაშვილი (ჩიმაკაძე 80), წინამძღვრიშვილი (გრბოვიჩი 80).*

„ამერის" შემადგენლობაში სიახლეა: გასინჯვაზე იმყოფება სერბი ფეხბურთელი ალტინ გრბოვიჩი. იგი 20 წლისაა, თავდამსხმელია და თამაში მშობლიური ქალაქის, ნოვი ბაზარის გუნდში დაიწყო, რომელიც სერბეთის მეორე ლიგაში თამაშობს, შემდეგ კი ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში" გადავიდა. შესაძლოა, გრბოვიჩი „ამერთან" ერთად დაბრუნდეს საქართველოში.

**გიორგი დარჯანია**
**ანთალიიდან**

# ჯერ თოდუა, მერე ბრაზილია



ლეანდრო

ლეანდრო და ჟონატასი — „ზესტაფონმა" ერთ მატჩში უკვე გასინჯა ორივე ბრაზილიელი და ვნახოთ, რა შთაბეჭდილებას დატოვებენ ისინი მომდევნო შეხვედრებში. მათთან კონტრაქტის გაფორმებას ფეროელები ალბათ არ იჩქარებენ, მანამდე კი კლუბმა სევასტი თოდუასთან გააახანგრძლივა ხელშეკრულება — ზესტაფონელთა ერთ-ერთი საუკეთესო მცველი კიდევ სამ წელიწადს დარჩება გუნდში.

შეგახსენებთ: დღეს იმერლები თურქულ შეკრებაზე ლვოვის „სპარტაკს" ხვდებიან.

**ლუკა თალაკვაძე**



ჟონატასი

# დავით მუჯირი: ცუდია ტრავმა, კარგია ვიზა

**სამარის** „კრილია სოვეტოვმა" თურქულ შეკრებაზე ბოლო ტესტ-მატჩი გამართა და უკრაინულ „ზარიას" 1:0 მოუგო, თუმც ქართველებს არ უთამაშიათ — დავით მუჯირი უკვე საქართველოში წამოვიდა, ლევან გვაზავამ კი წინა დღეებში ზედიზედ ჩაატარა შეხვედრები და სამარელთა მწვრთნელმა სერგეი ობორინმა ამჯერად დაასვენა.

გვაზავას გარდა, „კრილიაში" კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი ისინჯება და მწვრთნელი მათზე გადაჭრით არაფერს ამბობს, სამარაში დავბრუნდებით და შესაძლოა, ზოგიერთს მალევე გავუფორმოთ კონტრაქტიო.

მუჯირზე კი გაზეთი „სამარსკი ფუტბოლი" წერს: „მისი ტრავმა იმას არ ნიშნავს, რომ პრემიერლიგის სტარტს გამოტოვებს. სამწუხაროა, გუნდის ლიდერს მოსამზადებელი პერიოდის ერთი დიდი ნაწილი რომ უცდება. მისი ერთადერთი ნუგეში კი ახლა ისაა, რომ საქართველოში რუსეთის საკონსულოს დაბრუნებით, ვიზას აუცილებლად გაუგრძელებენ.

**ილია ნანობაშვილი**

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ლეგენდარულ
ქართველ ფეხბურთელს რამაზ შენგელიას
**დედის**
გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,
პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ვეტერან
ფეხბურთელთა კავშირი თანაგრძნობას
უცხადებენ რამაზ შენგელიას
**დედის**
გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს
ქვემო ქართლის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის
პრეზიდენტს ლაშა მინდელს
**დედის**
გარდაცვალების გამო

# გიგიაძემ ფეხი გაშალა

**კრივოი როგის** „კრივბასის" მოსამზადებელი ეტაპის პირველი ნაწილი მთლიანად გამოტოვა გუნდის კაპიტანმა ვასილ გიგიაძემ — ქართველი თავდამსხმელი დღემდე ინდივიდუალურად ვარჯიშობდა.

„კრივბასი" გუშინ დაბრუნდა თურქეთიდან და ორ დღეში მეორე შეკრებაზე წავა.

კრივოიროგელთა მთავარი მწვრთნელის ოლეგ ტარანის თქმით, ამ შეკრებაზე გუნდის ძირითად ბირთვს ვასილ გიგიაძეც შეუერთდება და სრულფასოვან ვარჯიშს დაიწყებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ინგლისი

პრემიერლიგა. XXV ტური
პორტსმუთი 0:0 მიდლსბრო
შეფილდი 2:0 ფულემი
ვესტ ჰემი 1:2 ლივერპული
რედინგი 3:2 უიგანი
ჩემპიონატი. XXX ტური
ბარნსლი 2:0 ქუინზ პარკი
ბირმინგემი 1:3 საუთენდი
კოლჩესტერი 1:0 პრესტონი
ქოვენთრი 1:0 ლუთონი
დერბი 1:0 ბარნლი
ჰალი 1:2 ლიდსი
ნორვიჩი 0:1 ვულვზი
სტოკი 0:0 იფსვიჩი
სანდერლენდი 0:0 კრ. პალასი
მეორე ლიგა
გადადებული მატჩები
ბერი 2:2 ჰერეფორდი
მაკლსფილდი 0:2 უოლსოლი
მენსფილდი 5:0 ტორკი
ნოტსი 1:1 ბარნეტი
პიტერბრო 1:1 სუინდონი
რექსემი 0:1 სტოკპორტი
კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
ტემუორთი — კიდერმინსტერი გადაიდო
LDV VANS TROPHY
ნახევარფინალი
ქრიუ 3:3 დონკასტერი
შრიუსბერი 0:1 როვერსი

## გერმანია

ბუნდესლიგა. XIX ტური
ბაიერნი 0:0 ბოხუმი
მიონხენგლადბახი 0:0 ნიურნბერგი
შტუტგარტი 3:2 არმინია
ვოლფსბურგი 2:2 აინტრახტი
II ბუნდესლიგა. XIX ტური
აუგსბურგი 0:1 პადერბორნი

## საფრანგეთი

თასის მერვედფინალი
მონაკო 0:2 სოშო
მონპელიე 0:2დ.დ. (0:0) ვანი
ლიბურნი 1:2 სედანი
პსჟ 1:0 ვალანსიენი

## თურქეთი

თასის მეოთხედფინალი
ფენერბაჰჩე 2:1 გენჩლერი

## შოტლანდია

ლიგის თასი
ნახევარფინალი
კილმარნოკი 3:0 ფოლკირკი

## ამხანაგური მატჩი

საამიროები 1:0 ომანი



# 97 დღე
## რალფ მინგეს ტაქტიკური ვარიაციები

**7 თებერვალს საქართველოს ეროვნული და მეორე ნაკრები, შესაბამისად, თურქეთისას გაეჯიბრებიან ამხანაგურად. ჩვენი ნაკრებების ხელმძღვანელი კლაუს ტოპმიოლერი თბილისში ალბათ დღეს ჩამოვა, მის თანაშემწეს და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაც რალფ მინგეს კი გუშინ შევხდვით. ჰერ მინგეს როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ საკითხებზე ვესაუბრეთ...**

— თურქეთთან მატჩისთვის ნაკრებში არ არიან გამოძახებულნი ალექსანდრე იაშვილი და ოთარ ხიზანეიშვილი...

— მათ ამასწინანდელ თამაშს ვუყურე, ისინი მართლაც კარგ ფორმაში არიან, იაშვილს ვესაუბრე კიდეც. რა თქმა უნდა, ისინი კვლავაც მნიშვნელოვანი ფეხბურთელები არიან ნაკრებისთვის მიუხედავად იმისა, რომ თურქეთთან მატჩისთვის არ არიან გამოძახებულნი.

— მეორე ანუ B ნაკრებში არ არის გამოძახებული დინამოელი სანდრო იაშვილი. ასეთი ტიპის, თავით კარგად მოთამაშე ფორვარდი ნაკრების მწვრთნელთა კონცეფციაში მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არ არის?

— თავით კარგად მოთამაშე ფეხბურთელს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ამ ფეხბურთელზე ბევრი ინფორმაცია გვაქვს. ვიცით, რომ ორი-სამი წლის წინ ის ძალიან კარგად თამაშობდა, მაგრამ ახლანდელი ვითარება სხვანაირია. იაშვილმა რაღაც მომენტში ზრდა შეწყვიტა და მისი პოტენციალიდან გამომდინარე იმ სიმაღლეზე არ არის, რომელზეც უნდა იყოს. ის ახლა კარგ გზაზე დგას და ალბათ თავს გამოიჩენს. იაშვილი ჩვენთვის საინტერესო ფეხბურთელია.

— 7 თებერვლის მატჩისთვის მოწვეულია დავით მუჯირი — თქვენი ინფორმაციით, ის უკვე კარგ სპორტულ ფორმაშია?

— მას ტრავმა ჰქონდა, მაგრამ რადგან მუჯირში დიდ პოტენციალს ვხედავთ, ამ ეტაპზე მისი ნაკრებში ყოფნა მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ.

— თუ გქონდათ საქმიანი შეხვედრა თბილისის „დინამოს" მწვრთნელ დუშან უჰრინთან, რომელიც გაოცებული დარჩა იმით, რომ გერმანიასთან და იტალიასთან მატჩებისთვის ნაკრებში შოთა გრიგალაშვილი გამოიძახეთ?

— უჰრინს მაშინ შევხვდით, როცა ნოემბერში საქართველოს ჩემპიონატის გუნდების მწვრთნელებთან გვქონდა თავყრილობა. რაც შეეხება გრიგალაშვილს, ის ისეთივე დიდი ტალანტია, როგორც სანდრო იაშვილი და ასეთი ნიჭიერი ფეხბურთელების დიდი რაოდენობით განებივრებულნი არ ვართ. გრიგალაშვილი რთული პიროვნებაა და მას ფრთხილად უნდა მოვექცეთ. ვიცი, რომ „დინამოში" დისციპლინარული სასჯელი ჰქონდა და ესეც გავითვალისწინეთ.

— და ალბათ ამიტომაც მიავლინეთ ის გასინჯვაზე ერცგებირგეს აუე-ში...

— ეს კლაუს ტოპმიოლერის იდეა იყო, ის კარგად იცნობს აუე-ს პრეზიდენტს და მწვრთნელს. ჩვენი სურვილი იყო, გრიგალაშვილი და ბენაშვილი განსხვავებულ გარემოში მოხვედრილიყვნენ და ახალი გამოცდილება შეეძინათ.

— მიხეილ აშვეთია და გიორგი ლომაიაც თქვენი სამწვრთნელო შტაბის ინიციატივით მოხვდნენ „კარლ ცაისში"?

— არა, ეს თვითონ „კარლ ცაისის" სურვილი იყო. გაგვიკვირდა, როცა „კარლ ცაისიდან" დაგვირეკეს და გვითხრეს, აშვეთიას და ლომაიას აყვანა გვსურსო.

— ჩვენთვის ალბათ ძალიან მნიშვნელოვანია, ნაკრების მეკარეს სათამაშო პრაქტიკა თუ ექნება მეორე ბუნდესლიგაში...

— ლომაიას საამისოდ დიდი შრომა მოუწევს და, რა თქმა უნდა, ნაკრებს დიდად წაადგება ის, რომ მისი მეკარე სისტემატურად ითამაშებს კლუბში. „კარლ ცაისი" კარგი შანსია აშვეთიასთვისაც — მეორე ბუნდესლიგიდან უფრო ადვილია გზის გაკვლევა ევროპულ ფეხბურთში, ვიდრე რუსეთიდან. ეს ყველაფერი კარგია ნაკრების მწვრთნელებისთვისაც — როცა ამ გუნდის თამაშზე წავალთ, საათნახევარში ნაკრების ორი ფეხბურთელის ნახვა შეგვეძლება.

— ევროშესარჩევში უახლოესი მატჩი შოტლანდიასთან გვაქვს, რომელსაც ახალი მწვრთნელი ჰყავს, ეს კი ყოველთვის დამატებით სტიმულს აძლევს მოთამაშეებს. თუმც ალექს მაკლიშს ყოფილი რეინჯერსელი ქართველები დიდ ტაქტიკოსად და ტექნიკური ფეხბურთის მიმდევრად არ მიიჩნევენ. როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი რაოდენ მნიშვნელოვანი იქნება 24 მარტის თამაშისთვის?

— შოტლანდიის ნაკრების ძლიერი მხარე ტაქტიკა და ტექნიკა არ არის, მაგრამ მიმდინარე შესარჩევში კარგად თამაშობს. რაც შეეხება ახალ მწვრთნელს, ვერ გეტყვით, ეს ჩვენთვის კარგია თუ ცუდი, ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ამ მატჩისთვის ძალიან მოტივირებულები ვართ.

— კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრებებისთვის 4-3-3 სქემა აირჩია, თუმც იყო გამონაკლისებიც — რამდენჯერმე ეს სქემა შეიცვალა. მომავალშიცაა მოსალოდნელი ასეთი ცვლილებები თუ 4-3-3 დოგმა იქნება?

— ჯერ არ ვართ იმ დონეზე, რომ ყოველთვის ერთი და იმავე მონახაზს დავეყრდნოთ. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის ვეთამაშებით და რომელი ფეხბურთელებით. ერთი სიტყვით, ტაქტიკური ვარირება მომავალშიც მოსალოდნელია.

— ამ ეტაპზე საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ფეხბურთელთა სელექცია დასრულებულია? მაგალითად, ერთხელაც არ გინახავთ საქმეში აზერბაიჯანში წარმატებით მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები...

— შესაძლოა, ამ ეტაპზე სელექცია დასრულებული არ იყოს... ჩვენ სრულყოფილად ევროპაში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს ვაკვირდებით და ვერ დავიჟინებთ იმას, რომ ნაკრების ყველა კანდიდატი ნანახი გვყავს. ინფორმაციის შეგროვებას ვაგრძელებთ და საამისოდ მასმედიის როლსაც ვაფასებთ.

— შეგიძლიათ, დაახლოებით გვითხრათ, შარშან რამდენი ხანი დაყავით საქართველოში?

— ზუსტად 97 დღე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საშუასეზონო შესვენებების გარდა შარშან მსოფლიოს ჩემპიონატიც იყო, ეს ალბათ ცოტა არ არის.

**დავით თავართქილაძე**

# კალაძე შესრულდა მილანელი ქართველი ლიგას შეიძენებს



**საქართველოს** ნაკრებისა და იტალიური „მილანის" მცველი კახა კალაძე გამოჯანმრთელდა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

„მილანის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კალაძეს უკვე არაფერი აწუხებს და დიდი შანსია, უახლოეს ტურში ითამაშოს.

„ვფიქრობ, კარლო ანჩელოტი მომავალ ტურში მათამაშებს. ყოველ შემთხვევაში, თავს კარგად ვგრძნობ, რისთვისაც მადლობას ვუხდი „მილანის" ფიზიკური მომზადების მწვრთნელებს და ფიზიოთერაპევტებს. იმედი მაქვს, სასურველ კონდიციებს მალე ალვიდგენ" — განაცხადა კალაძემ და დასძინა, რომ ჩემპიონთა ლიგის განახლებამდე ფორმის აკრეფა არ გაუჭირდება.

**კახა შალამბერიძე**

# მარცვალაძე გამოირიცხა

**საბოლოოდ** გადაწყდა, რომ 7 თებერვალს თურქეთთან ამხანაგურ მატჩში ვერ ითამაშებს ოთარ მარცვალაძე. კიევის „დინამოს" თავდამსხმელმა ტრავმა ახლახან მოირჩინა, თუმცა სარეაბილიტაციო კურსი ჯერ არ დაუმთავრებია და დატვირთვებიც აკრძალული აქვს.

როგორც შევიტყვეთ, გამორიცხული არ არის, მარცვალაძის და ჰოლანდიური „ალკმაარის" კაპიტან შოთა არველაძის ნაცვლად კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულ ნაკრებში მოსკოვის „ლოკომოტივის" ფორვარდი გიორგი ჭელიძე გადაიყვანოს, ვინც სათურქეთოდ ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული.

**კახა შალამბერიძე**

# კობი და გაზპრომი: გადაღებულია!




**გელზენკირხენის** „შალკესთან" სპონსორული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ რუსულმა „გაზპრომმა" ფრთები გაშალა და ლამის მთელ გელზენკირხენში ამ კომპანიის სარეკლამო ბანერებია გამოკიდებული.

აგერ, ახლახან კი „გაზპრომი" მატარებლებსაც „მიადგა" და გუშინ ახალი ვაგონების პრეზენტაცია გაიმართა.

რა შუაშია მატარებელი და ფეხბურთი?

რაში და, კონტრაქტის მიხედვით კლუბს „გაზპრომის" რეკლამა უნდა გაეკეთებინა და საამსაქმოდ „შალკედან" ორი ფეხბურთელი მიიწვიეს — ბრაზილიელი რაფინია და ქართველი ლევან კობიაშვილი.

**კახა შალამბერიძე**

# 19-წლამდელთა ევროტესტები

**19-29 მარტს** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები გერმანიაში შეკრებაზე რომ წავა, ადრეც გაუწყეთ. ახლა კი იმას გეტყვით, რომ საბოლოოდ გაირკვა ჩვენების სპარინგ-პარტნიორთა ვინაობა: 21 მარტს ჰაინც ტოპმიოლერის შეგირდები გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებს გაეჯიბრებიან, 25 მარტს ლუქსემბურგში გადაინაცვლებენ და იქაურ უმაღლესლიგელ „ვიქტორია როსსპორტს" შეხვდებიან, 28-ში კი ლუქსემბურგის 19 და 21-წლამდელთა გუნდთა ნაკრებს ეთამაშებიან.

გერმანიაში ქართველები ქალაქ ბიტბურგის სპორტსკოლაში დაბინავდებიან.

**კახა შალამბერიძე**

# გიორგი სიჭინავას დაუვიწყარი და სევდიანი ისტორიები

## მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის ნაცვლად ციხეში



**თენგიზ ბაჩქორია**

გიორგი სიჭინავას ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ და თვითმყოფად ფეხბურთელად იცნობდნენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. ის სიჭაბუკეშივე გამოჩნდა დიდ სარბიელზე — 1959 წლის ბოლოს 17 წლის გაგრელი ბიჭი თბილისის დინამოელი გახდა. 1960-1969 წლებში სიჭინავა „დინამოს" ერთ-ერთი ლიდერი იყო, 1964 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, თამაშობდა საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ და მთავარ ნაკრებებში, 1966 წელს ინგლისში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მიიღო — ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც საბჭოთა კავშირის ნაკრები მუნდიალის პრიზიორი გახდა...

სიჭინავა 1970 წლის, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის კანდიდატიც იყო, მაგრამ... ჩემპიონატამდე ექვსი თვით ადრე ციხეში აღმოჩნდა... ბედის ირონიით, სიჭინავა სწორედ ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გაათავისუფლეს და ისიც ფეხბურთში დაბრუნდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, საყვარელ თბილისის „დინამოში" უკვე ველარ მოხვდა...

საბჭოთა ცენზურის პირობებში ამის თაობაზე თითქმის არაფერს წერდნენ, პოსტსაბჭოურ პერიოდში კი სხვადასხვა მიზეზთა გამო თავად სიჭინავა იკავებდა თავს ამ ამბავზე საუბრისგან...

ახლა 65 წლის გიორგი სიჭინავა სოჭში ცხოვრობს, სადაც დავუკავშირდით კიდეც და...

მაშ ასე, გიორგი სიჭინავა და მისი დაუვიწყარი ისტორიები...

**— ბატონო გიორგი, ვფიქრობთ, ბევრმა, სტაჟიანმა გულშემატკივრებმაც კი, არ იციან, რომ თქვენ საკმაოდ სერიოზული მიღწევები გქონდათ ფარიკაობაში და დიდ წარმატებებს სწორედ ამ სახეობაში გიწინასწარმეტყველებდნენ. ვინ და როგორ გადაგიბირათ ფეხბურთში?**

— გაგრაში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, თითქმის ყველა ბიჭი ფეხბურთით იყო გატაცებული, თუმცა ბევრნი იყვნენ ისეთებიც, ფარიკაობა რომ აინტერესებდათ. მე ორივე სექციაში დავდიოდი და გარკვეულ დრომდე ორივე სახეობაში ვარჯიშს უპრობლემოდ ვუთავსებდი ერთმანეთს. მოგვიანებით ფარიკაობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჩემპიონი გავხდი, შემდეგ საქართველოს ჩემპიონობაც მოვიპოვე ჭაბუკებში და 1959 წელს საქართველოს ნაკრებთან ერთად მოსკოვში საკავშირო სპარტაკიადაშიც ვმონაწილეობდი. სამწუხაროდ, იქ დისკვალიფიკაცია მივიღე — ძალიან ემოციური ვარ და ხანდახან ვცელქობდი, რაც მოსკოვში ძვირად დამიჯდა. თუმცა სწორედ ამ დისკვალიფიკაციამ გადაწყვიტა ჩემი ბედი — იძულებული გავხდი, ფარიკაობა მიმეტოვებინა და მთლიანად ფეხბურთზე გადავრთულიყავი. როდესაც თბილისის „დინამოში" მიხმეს, სპორტის ჩინოვნიკებმა „დინამოს" მთავარ მწვრთნელ ანდრო ჟორდანიას ჰკითხეს: ვინ აგყავთ გუნდში, მაგას ხომ დისკვალიფიკაცია აქვს?! ანდროს პასუხი მოკლე იყო, ეს ბიჭი ფარიკაობას ჩამოაშორეს, ფეხბურთში კი მას დისკვალიფიკაცია არა აქვსო. ანდრო საოცრად ყურადღებიანი და ამავე დროს მომთხოვნი მწვრთნელი იყო, მას პერსპექტიულ ჭაბუკთა პოვნის და აღზრდის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა. ჩემი აზრით, ის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი იყო საქართველოს და მთლიანად საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ისტორიაში. ჟორდანიას ხელშეწყობით დავმკვიდრდი „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში. ასე გაგრძელდა სხვა მწვრთნელების დროსაც. 1962 წელს საბჭოთა კავშირის ვერცხლის პრიზიორი გავხდი, 1964 წელს კი ჩემპიონობა მოვიპოვეთ. ამავე დროს მე და მურთაზ ხურცილავა ოლიმპიურ ნაკრებში მიგვიწვიეს, ხოლო 1965 წელს ნიკოლაი მოროზოვმა საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამომიძახა. თუმცა მოროზოვის დაჟინება რომ არა, ჩინოვნიკებს შეეძლოთ, ჩემთვის ნაკრებში თამაში აეკრძალათ...

**— რატომ? ამჯერად რა დააშავეთ?**

— 1965 წელს ბაქოში „ნეფთჩის" ვხვდებოდით და მსაჯმა გამაძევა. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში იგი აშკარად გვჩაგრავდა, შევეკამათე და მან უმალ გადაწყვიტა ჩემი გაძევება. ვეკითხები, რისთვის მაგდებ-მეთქი, მან კი მიპასუხა, თქვენ შემაგინეთო. შევეცადე ამეხსნა, რომ სინამდვილეში მას კი არა, „ნეფთჩის" ფეხბურთელს შევაგინე, რომელმაც მსაჯს ყველაფერი პირიქით აუხსნა და უთხრა, რომ სიჭინავამ შეგაგინაო. ვეღარ მოვითმინე და მსაჯს მუცელზე წავავლე ხელი... ფეხბურთელებმა დაგვაშორეს, მე კი მაინც გამაძევეს. მაგრამ... ეს ამბავი ამით არ დამთავრებულა, მთავარი სასჯელი თბილისში მელოდა. ჩამოფრენისთანავე აეროპორტში მითხრეს, რომ თავისთან მიბარებდა ქართული სპორტსაზოგადოება „დინამოს" ხელმძღვანელი — გეცოდინებათ, ეს პოსტი ყოველთვის შინაგან საქმეთა მინისტრს ეკავა, მაშინ კი ამ თანამდებობაზე ედუარდ შევარდნაძე მუშაობდა. სხვა რა გზა იყო, აეროპორტიდანვე წავედი შევარდნაძესთან. ცივად შემხვდა, მითხრა, შენ დინამოელის და მილიციის ოფიცრის სახელი შებღალეო. მოკლედ, ხულიგნობისთვის 21 დღით დამაკავეს და სასჯელის მოსახდელად თბილისის მე-8 პოლკში გამამწესეს. რამდენიმე დღეში იქიდან გამოვიქეცი — ვარჯიში და თამაში მინდოდა. რამდენიმე დღე საქართველოს სპორტკომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მმალავდა, შემდეგ კი ყველაფერი მაპატიეს და ცოტა ხანში თამაშიც განვაახლე, ოღონდ პირობითი დისკვალიფიკაცია მქონდა. აი, სწორედ ამ დროს გამომიძახა ნაკრებში ნიკოლაი მოროზოვმა — ის თავად ჩამოვიდა თბილისში და ზემდგომი ორგანოები დაარწმუნა, რომ ნაკრებს ვჭირდებოდი...

**— და გაგიშვეს...**

— სლავა მეტრეველთან, მიხეილ მესხთან და ანზორ კავაზაშვილთან ერთად, რომელიც მოსკოვის „ტორპედოში" გამოდიოდა, ვითამაშე იმ ცნობილ მოსკოვურ მატჩში ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ. სწორედ მაშინდელია ის ცნობილი ფოტო — ქართველები პელესთან ერთად. 1966 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვითამაშე ინგლისში.

**— ამბობენ, ინგლისში თქვენ ყველაზე დისციპლინირებული მოთამაშე იყავით და ეს ბევრს უკვირდა. საბჭოთა კავშირის ნაკრებში არ არღვევდით რეჟიმს და დისციპლინას?**

— ინგლისში ძალიან მობილიზებული ვიყავი და, როგორც ჩანს, ეს კარგად გამომივიდა, რადგან ყველამ შენიშნა. მსოფლიოს ჩემპიონატი ბრწყინვალე იყო — 3:0 მოვუგეთ ჩრდილოეთ კორეას, 1:0 იტალიას, 2:1 ჩილეს... მეოთხედფინალში 2:1 უნგრეთს, ნახევარფინალში 1:2 წავაგეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, მესამე ადგილისთვის მატჩში კი პორტუგალიასთან — აქაც 1:2. სამწუხაროდ, კორეელებთან თამაშისას ტრავმა მივიღე და მოედანზე მხოლოდ პორტუგალიასთან დავბრუნდი...

**— და მაინც: გიორგი სიჭინავა და რეჟიმი ყოველთვის საინტერესო თემა იყო...**

— „დინამოში" თამაშისას ეს უფრო ხშირად იმით გამოიხატებოდა, რომ შემეძლო, ყოველგვარი ნებართვის გარეშე წავსულიყავი გაგრაში — ძალიან მენატრებოდა ჩემი მშობლიური ქალაქი. საბჭოთა კავშირის ნაკრებში საზღვარგარეთ ყოფნისას შემეძლო, ქალაქიდან გავსულიყავი, გოგონებისთვის თვალი გამეყოლებინა ან ისეთი რამ მეყიდა, რაც ჩვენთვის არ შეიძლებოდა და რასაც უკან დაბრუნებისას საზღვარზე მართმევდნენ. ასეთმა დარღვევებმა ჩემს ცხოვრებაში საბოლოოდ საბედისწერო როლი ითამაშა.

**— მაგრამ თქვენ ხომ საბაჟო წესების დარღვევისთვის არ დაუჭერიხართ...**

— რა თქმა უნდა, არა. როგორც ვიცი, მოსკოვიდან თბილისში აცნობეს, რომ მე ნაკრებში დისციპლინას ვარღვევ. ამის გამო სპორტსაზოგადოება „დინამოს" ჩემთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება დაეკისრა. ეს 1969 წელს ხდება. რა თქმა უნდა, საზოგადოება „დინამოს" ხელმძღვანელ ედუარდ შევარდნაძესთან გამომიძახეს. ამჯერად მან თავაზიანად მიმიღო და მითხრა, შვილო, შენ კარგად თამაშობ, მაგრამ ამბობენ, რომ დისციპლინას არღვევ და ამით „დინამოს" და საბჭოთა კავშირის ნაკრებს არცხვენ. გთხოვ, ეს შეწყვიტო, თორემ ნაკრებში აღარ მიგიწ-



გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, პელე, ანზორ კავაზაშვილი და მიხეილ მესხი




**დრო იყო დიდთა: სიჭინავა და პელე, სიჭინავა და ეუსებიო...**

ვევენო. მე კი ვუპასუხე, ბატონო ედუარდ, გმადლობთ თბილი სიტყვებისთვის, მაგრამ გთხოვთ, თქვენს საქმეს მიხედოთ და დამნაშავეები დაიჭიროთ, მე კი ფეხბურთს ვითამაშებ-მეთქი. კაბინეტიდან რომ გამოვედი, ვიფიქრე, ალბათ უხეშად ვუპასუხე-მეთქი და ვინანე, მაგრამ უკან აღარ შევბრუნდი. თამაში გავაგრძელე, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ ვემზადებოდი, მაგრამ... რამდენიმე თვეში, 1969 წლის დეკემბერში, ციხეში მოვხვდი...

**— თქვენ დაჭერაზე რამდენიმე ვერსია გაგვიგია. რა მოხდა სინამდვილეში, რისთვის დაგიჭირეს?**

— ჩემი დაჭერა ფეხბურთელებისთვის და ქომაგებისთვის შოკი გამოდგა. წარმოიდგინეთ, ქალის გაუპატიურების მცდელობაში დამადანაშაულეს. თანაც იმ ქალის, რომელთანაც რამდენიმე წელი ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა. ეტყობა, ვიღაცამ მას „ჭკუა დაარიგა“... თუმცა სასამართლოზე ამ ქალბატონმა თამამად განაცხადა, რომ მე ამდაგვარი არაფერი ჩამიდენია, მაგრამ მოსამართლემ მისი სიტყვები აღარ გაითვალისწინა. როგორც მერე მითხრეს, თბილისში არც ერთმა მოსამართლემ არ ისურვა ამ საქმისთვის ხელის მოკიდება; ისინი ალბათ ხვდებოდნენ, რომ მთელი ისტორია ჩემი ავისმოსურნეთა შეთითხნილი იყო. მოკლედ, საქმის განხილვა დაავალეს მოსამართლეს, რომელიც გარდაბნის რაიონიდან გახლდათ. ჩანდა, ისიც ხვდებოდა რეალურ სიტუაციას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო იძულებული იყო, ჩემი საქმე აელო...

...ბევრი სპორტსმენი გამომესარჩლა, ჩემი მეგობრები „დინამოდან“ და საბჭოთა კავშირის ნაკრებიდან, განსაკუთრებით მინდა გამოვყო მურთაზ ხურცილავა, კახი ასათიანი, შოთა იამანიძე, ვიქტორ პონედელნიკი, ასევე ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში რომან რურუა... მაგრამ ისინი, ვინც ეს საქმე შეთითხნა, შეუვალნი იყვნენ — მათ გადაწყვიტეს, საჩვენებელი პროცესი ჩაეტარებინათ 27 წლის სიჭინავაზე იმისთვის, რომ ხელმძღვანელობის წინაშე თავი გამოეჩინათ და სხვებისთვის „ჭკუა ესწავლებინათ“. საბოლოოდ, ოთხი წელი მომისაჯეს. თავიდან კოლონია-გადასახლებაში ვიყავი გალის რაიონის სოფელ სიდაში, შემდეგ გადამიყვანეს არმავირის ციხეში, მოგვიანებით კი როსტოვში...

**— ეს ისტორია ძალიან ჰგავს იმას, როდესაც 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ფეხბურთს ჩამოაცილეს ედუარდ სტრელცოვი და გამოგონილი მიზეზით ჩასვეს ციხეში. მაინც ვინ შეთითხნა თქვენ წინააღმდეგ საქმე?**

— ხელს ვერ დავადებ მათ, ვინც ეს საქმე შეთითხნა, რადგან ამ საქმეში მათი მონაწილეობის პირდაპირი მტკიცებულებები არ მაქვს. მე მხოლოდ ვხვდები, ვინ და რა ხალხმა გააკეთა ეს საქმე. მაგრამ ეს მხოლოდ მოსაზრებებია, მტკიცებულებები კი არ მაქვს და არც ვეძებ, რადგან წარსულს ვერ დავაბრუნებ და მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე ველარ მოვხვდები. ვაღიარებ, რომ ხანდახან დისციპლინას ვარღვევდი, მაგრამ არავითარი კრიმინალი და დანაშაული არ ჩამიდენია.

**— ციხეში როგორ გეპყრობოდნენ?**

— კარგად. პატიმრებიც და ადმინისტრაციაც მშვენივრად მეპყრობოდნენ. მათ იცოდნენ სიმართლე და ალბათ ამიტომ იქცეოდნენ ასე. მაშინ ყველას უყვარდა ფეხბურთი და თანამიგრძნობდნენ ფეხბურთისგან ჩამოშორებას. ჩემი მეგობრები, ცნობილი ფეხბურთელები ვიქტორ პონედელნიკი და ოლეგ კოპაევი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ციხიდან როსტოვის გუნდის თავდებით გამოვეშვით და საშუალება მოეცათ, როსტოვის სკა-ში მეთამაშა. სხვათა შორის, 1970 წელს ჩემთან ციხეში ჩამოვიდა ალმა ათის „კაირატის“ წარმომადგენელი და მითხრა, თვით ყაზახეთის კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს და სკკპ პოლიტბიუროს წევრ კუნაევს სურს, „კაირატში“ ითამაშოო. მე კი თბილისის „დინამოში“ მინდოდა თამაში და ამიტომ არ ვჩქარობდი მათთვის პასუხის მიცემას. მოკლედ, სანამ ვფიქრობდი, ისევ თბილისის ციხეში გადამიყვანეს, შემდეგ კი „კარგი ყოფაქცევისთვის“ მალევე გამათავისუფლეს. საერთო ჯამში ციხეში შვიდი თვე ვიჯექი...

...გათავისუფლების შემდეგ თამაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე ლიგის რუსთავის „მეტალურგში“ დავიწყე. არადა, თბილისის „დინამოზე“ ვოცნებობდი, მაგრამ მიზეზთა გამო ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. შემდეგ მივიღე წინადადება კონსტანტინ ბესკოვისგან და დავიწყე ვარჯიში მოსკოვის „დინამოში“, რომელიც 70-ანი წლების დასაწყისში წარმატებით თამაშობდა როგორც ჩემპიონატში, ასევე ევროტურნირებში. ბესკოვი ჩემით კმაყოფილი იყო, მაგრამ მას შეახსენეს რომ მე დისკვალიფიცირებული ვიყავი და უმაღლეს ლიგაში თამაში არ შემეძლო. ძალიან დამწყდა გული, რაღა მექნა, საქართველოში დავბრუნდი და ცოტა ხანი ისევ რუსთავის „მეტალურგში“ ვითამაშე, მერე კი 29 წლისა საერთოდ წავედი ფეხბურთიდან...

...ამდენი წელი გავიდა და მინდა ვთქვა, რომ არავისზე ვარ გაბრაზებული და განაწყენებული, რადგან ახალგაზრდული ასაკის და ემოციურობის გამო მართლა ვარღვევდი დისციპლინას. ეგ არის, ზოგიერთი ჩინოვნიკი მოსკოვშიც და თბილისშიც არაადეკვატურად რეაგირებდნენ ჩემს საქციელზე. რა თქმა უნდა, ვწუხვარ, მე თვითონ დავამსხვრიე ჩემი მომავალი. მინდა, ახალგაზრდა სპორტსმენებს ვუთხრა, რომ იმ 12-15 წლის მანძილზე, როცა პროფესიულ სპორტში ხართ, უარი თქვით ნებისმიერ ცდუნებაზე, დროსტარებაზე, დალევაზე, შეკრებების თვითნებურად მიტოვებაზე, მსაჯებთან კამათზე და არ მისცეთ ჩინოვნიკებს და მსაჯებს მიზეზი დასასჯელად.

**— იმედია, ახალგაზრდები თქვენს რჩევას მიიღებენ. ბატონო გიორგი, ახლა რით ხართ დაკავებული?**

— ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ მეგობრები თბილისში დარჩენას მთხოვდნენ, მაგრამ მე მშობლიურ გაგრაში დავბრუნდი, თუმცა ხშირად ჩავდიოდი მეგობრებთან თბილისში. კარგა ხანი ვმუშაობდი გაგრის საფეხბურთო სპორტსკოლის დირექტორად, 1992 წელს კი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს ოჯახთან ერთად გადმოვედი სოჭში, სადაც დღემდე ვცხოვრობ. დიდი იმედი მაქვს, რომ ქართველებს და აფხაზებს შორის ნორმალური ურთიერთობები აღდგება და ყველანი დავბრუნდებით აფხაზეთში...

...სოჭში ვეტერანთა ტურნირებში ვთამაშობდი ხოლმე, არაერთხელ ვყოფილვარ თბილისშიც. ჩემი 60 წლის იუბილეზე სწორედ თბილისში მომიწყვეს მიღება, დამაჯილდოვეს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

**— მსმენია, რამდენიმე წლის წინ საბუთების შემოწმებისას სოჭში მილიციამ ქართველთა ჯგუფი დააკავა, მათ შორის თქვენც...**

— იყო ასეთი შემთხვევა. მე საბუთები ვაჩვენე, მათ შორის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მოწმობაც. ერთი მილიციელი ფეხბურთის ქომაგი აღმოჩნდა, უცებ გაერკვა სიტუაციაში და გაგვიშვა, მით უმეტეს, არაფერი დაგვიშავებია...

...მე ვცხოვრობდი და ვცხოვრობ ფეხბურთით და იმედი მაქვს, მოვესწრები იმ დღესაც, როდესაც საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს...



*თავდაპირველად გადავწყვიტეთ, გავსაუბრებოდით იმ ცნობილ ფეხბურთელებსაც, რომლებთანაც [illegible] თამაშობდა სიჭინავა და რომლებიც გვეთხრა, [illegible] გორც სპორტსმენი და ადამიანი, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრეთ, რადგან მათ უკვე არაერთხელ ულაპარაკიათ სიჭინავაზე ამაღლებული ტონით, ოღონდ აღიარებდნენ მისი ხასიათის სირთულესაც, მაგრამ ხაზს უსვამდნენ მის ერთგულებას ფეხბურთისადმი და მეგობრებისადმი, მის დიდ ადამიანურ თვისებებს, მის პირდაპირ და ზედმეტად ემოციურ ხასიათს.*

*ახლა კი გადავწყვიტეთ, სიჭინავაზე სასაუბროდ დაგვეკავშირებინა* **ედუარდ შევარდნაძეს,** *მით უმეტეს, ბატონმა გიორგიმ რამდენჯერმე ახსენა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ და შსს-ს მაშინდელ ხელმძღვანელთან შეხვედრა...*

**— ბატონო ედუარდ, ცნობილია, რომ ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ბრძანდებით. როგორ დაგამახსოვრდათ გიორგი სიჭინავა, მით უმეტეს, რომ თქვენ ხელმძღვანელობდით სპორტსაზოგადოება „დინამოს“ და ხშირად გქონდათ ურთიერთობა მასთან და „დინამოს“ სხვა მოთამაშეებთან?**

— ისეც არ დავბერებულვარ, რომ გიორგი სიჭინავა არ მახსოვდეს. ვთვლი, რომ ის იყო ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელი საქართველოში და მთელ საბჭოთა კავშირში. მაყურებლები ტკბებოდნენ მისი ვირტუოზული და გამორჩეული თამაშით, მაგრამ ის ხშირად არღვევდა დისციპლინას და სპორტულ რეჟიმს, ამიტომ მწვრთნელებს და სპორტის მუშაკებს ბევრი მუშაობა უწევდათ მისი ხასიათის გამოსასწორებლად. რომელსაც მათი ძალისხმევა საკმარისი არ იყო, საქმეში საზოგადოება „დინამოს“ და სხვა სპორტული ორგანიზაციების მესვეურები ერთვებოდნენ. ასეთი მუშაობა გარკვეული ხნით შედეგიანი იყო, მაგრამ ნახევარი ან ერთი წლის შემდეგ ის ისევ არღვევდა დისციპლინას. რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ მან ბოლომდე ვერ შეძლო თავისი ხასიათის მოთოკვა, თორემ უფრო მეტს მიაღწევდა.

**— პირადად თქვენ არაერთხელ შეხვედრიხართ გიორგი სიჭინავას და რა შეგიძლიათ თქვათ ამ შეხვედრებზე?**

— დიახ, შევხვედრივარ, მაგრამ რამდენჯერ, ზუსტად არ მახსოვს. გიორგი ყურადღებით მისმენდა, პირობას იძლეოდა, რომ აღარ დაუშვებდა უდისციპლინობას, გარკვეული პერიოდი ასრულებდა კიდეც დანაპირებს, მაგრამ შემდეგ ისევ არღვევდა რეჟიმს. თქვენ ამბობთ, რომ სიჭინავამ ახალგაზრდა სპორტსმენებს მოუწოდა, არ დაარღვიონ დისციპლინა და გაკვეთილი გამოიტანონ მისი სპორტული ბიოგრაფიიდან. კარგია, რომ ასეთი ცნობილი ფეხბურთელი ასეთ მოწოდებას აკეთებს.

*კითხვაზე გიორგი სიჭინავას სასამართლოს თაობაზე, ედუარდ შევარდნაძემ გვითხრა, რომ სასამართლოს საქმეები მისი კომპეტენცია არ იყო და ასეთ საქმეებში არ ერეოდა...*

დასავლეთ ევროპაში ტრანსფერები დღეს მთავრდება და ბერძნული „პანიონიოსის" ქართველ ნახევარმცველ ლევან ცქიტიშვილს სხვა გუნდში გადასასვლელად მინიმალური შანსი რჩება. ლევანმა თუ დღეს ვერ შეიგულა სასურველი კლუბი, სეზონის ბოლომდე ისევ ათენში მოუწევს დარჩენა, რაც მას ძალიან არ სურს, თუმცა სხვა გზაც არ ჩანს.
სეზონის ღასაწყისში ცქიტიშვილი „პანიონიოსში" გერმანელი მწვრთნელის ევანდ ლინენის თხოვნით გადავიდა. ქართველი ახალწვეულის შეძენით კლუბის მესვეურები კმაყოფილებას არ მალავდნენ, მაგრამ საბერძნეთის ჩემპიონატი ისე დაიწყო და პირველი წრეც ისე მიილია, ლევანს ხეირიანად თამაშის საშუალება არ მისცემია. ცქიტიშვილს ორი კვირის წინ ჰოლანდიურ „ალკმაარში" გადასვლის ვარიანტი ჰქონდა, „პანიონიოსიც" უპრობლემოდ ათავისუფლებდა მას, მაგრამ ვან გაალის გუნდს ვერ მოურიგდა, საბერძნეთში დაბრუნება მოუხდა და ჩვენც გუშინ სიახლეების გასაგებად იქ დავუკავშირდით...



# ცქიტიშვილი მიდის, მაგრამ ვერ მიდის

## პანიონიოსის ქართველი სკამით და ათენით დაიღალა

— ახალი არაფერია, ძალიან კი მსურს „პანიონიოსიდან" წასვლა, მაგრამ ამ საქმიდან ჯერჯერობით არაფერი გამოდის.

**— არადა, თებერვლიდან ევროპაში ტრანსფერები შეწყდება...**

— დიახ, მაგრამ სხვა გუნდში გადასვლის რეალური შანსი ჯერ არ მაქვს. ველი 31 იანვარს, ეგებ რაიმე შეიცვალოს.

**— ხვალვე შეიძლება, ახალ გუნდთან კონტრაქტი გააფორმო?**

— იმედი მაქვს და ვნახოთ, რა იქნება. აგენტს რამდენიმე კლუბთან აქვს მოლაპარაკება და ეგებ ტრანსფერების შეწყვეტამდე მოვახერხო „პანიონიოსიდან" წასვლა.

**— საბერძნეთის სხვა გუნდში გადასვლის ვარიანტი არ არის?**

— რამდენიმე გუნდს სურს ჩემი გადაბირება. საინტერესო წინადადებებიც მივიღე, მაგრამ თავად აღარ მსურს საბერძნეთში თამაში.

**— ხვალ თუ არ გაირკვა შენი სატრანსფერო ამბავი, მერე რას აპირებ, სეზონის ბოლომდე „პანიონიოსის" სათადარიგოდ უნდა დარჩე?**

— ასე გამოდის... ვნახოთ, აქ თუ დავრჩი, ეგებ მწვრთნელს მოუბრუნდეს ჩემკენ გული და მათამაშოს, მაგრამ არა მგონია, ეს მოხდეს.

**— გუნდთან ერთად თუ ვარჯიშობ?**

— ვვარჯიშობ და ორმხრივ მატჩებშიც ვთამაშობ, მაგრამ რად გინდა, სათადარიგოთა სკამს ვერ მოვშორდი. ყველაზე ცუდი კი ისაა, მწვრთნელი უთამაშებლობის მიზეზსაც რომ არ მეუბნება, თავად კი ამას ვერ ვკითხავ. ცხადია, მწვრთნელს გუნდში არ ვჭირდები, ხოლო ხელმძღვანელობას ნათქვამი აქვს, თუ „პანიონიოსიდან" წახვალ, ხელს არ შეგიშლითო.

**— რუსეთში ან უკრაინაში გადასვლის ვარიანტიც არ ჩანს?**

— რუსეთში 31 მარტამდეა ტრანსფერები შესაძლებელი. თუმცა იქ გადასვლაზე არც ვფიქრობ, არც უკრაინის ჩემპიონატში თამაშია ჩემთვის მიმზიდველი, თორემ ამ ქვეყნებიდან ბევრი წინადადება მაქვს.

**— სანაკრებო შეკრებაზე ჩამოსვლას როდის აპირებ?**

— „პანიონიოსს" 4 თებერვალს აქვს ჩემპიონატის თამაში, მაგრამ აქ ყოფნას რა აზრი აქვს, შესაძლოა, ამ მატჩს არც დაველოდო. ვიცი, ჩემი ადგილი ახლა უკვე არც სათადარიგოთა შორის იქნება. ვფიქრობ, თბილისში ამ უქმეებზე ჩამოვალ.

**— უთამაშებელი, ცხადია, ფორმაშიც არ იქნები...**

— მხოლოდ ვარჯიშებით ძნელია ფორმის შენარჩუნება. ვატყობ, რომ სათანადოდ ჯერ არ ვარ მომზადებული, მაგრამ რაკი ნაკრებში გამომიძახეს, უნდა ჩამოვიდე. დანარჩენი კი მწვრთნელმა იცის. მათამაშებს თუ არა, მისი საქმეა. ჩემი საქმე მწვრთნელის მითითებების შესრულებაა.

**კობა ინასარიძე**

# ამერი ჩხეტიანს ჰარტბერგზე დათანხმდა



**ქართველ** ლეგიონერებს უახლოეს დღეებში კიდევ ერთი ფეხბურთელი უნდა შეემატოს. თბილისის „ამერის" მოთამაშე გივი ჩხეტიანი, რომელიც პირველ წრეში ქუთაისის „ტორპედოში" იყო განათხოვრებული, ავსტრიის პირველი ლიგის ბოლოადგილოსან კლუბ „ჰარტბერგთან" ექვსთვიან კონტრაქტს გააფორმებს.

„ჩემი ავსტრიაში ჩაყვანა სერგო ჭელიძის დამსახურებაა, რომელიც ავსტრიის მესამე ლიგის ერთ-ერთ გუნდს წვრთნის. ფორმალურ საკითხებზე კი ფიფას აგენტი, ბელარუსი ალექსანდრ მეტლიცკი მუშაობდა. ჯერ ისევ „ამერს" ვეკუთვნი და ამ კლუბმა ექვსთვიანი კონტრაქტის გაფორმების უფლება მომცა, შემდეგ კი თუ „ჰარტბერგს" სურვილი ექნება, ჩემი გამოსყიდვა მოუწევს... გუნდთან ერთად რამდენიმე ვარჯიში ჩავატარე, ერთი საკონტროლო შეხვედრაც ვითამაშე „ვოკლაბრიუკთან" და 4:1 მოვიგეთ — მე გოლი გავიტანე და საგოლე პასი გავაკეთე. ავსტრიელები კმაყოფილნი დარჩნენ და კონტრაქტის გასაფორმებლად ყველაფერი მზადაა. ახლა იურისტს დაველაპარაკები და ავსტრიაში გავფრინდები" — გვითხრა გუშინ ჩხეტიანმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლაშა სალუქვაძის ერთნახევარი

**ყაზანის** „რუბინს" სულ ორი ქართველი შემოაქვს ... ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი, ნუკრი რევიშვილი და ლაშა სალუქვაძე.

თურქეთთან ამხანაგური მატჩის წინ ქართველები „რუბინთან" ერთად შეკრებას ესპანეთში გადიან, სადაც ყაზანური კლუბი გერმანულ რეგიონალლიგაში მოთამაშე „ოსნაბრიუკს" გაეჯიბრა ამხანაგურად და 1:1 ეთამაშა.

ქართველთაგან მოედანზე მხოლოდ სალუქვაძე გამოჩნდა, რომელიც მწვრთნელმა მეორე ტაიმის შუაში შეცვალა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თუ ფრთა არა, ნალჩიკი

**ნალჩიკის** „სპარტაკიდან" წასული ლევან გვაზავა სამარის „კრილია სოვეტოვში" კი ისინჯება, მაგრამ გამორიცხული არ არის, ისევ ძველ გუნდს დაუბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში, ნალჩიკელებს სურთ, ქართველი ფეხბურთელი დაიტოვონ და თუ გვაზავას „კრილიაში" გადასვლა არ მოხერხდა, ალბათ არც თავად იქნება „სპარტაკში" დაბრუნების წინააღმდეგი.

**ბახა ზალამბერიძე**

# ...და რჩება ოლიმპი

**დღემდე** უგუნდოდაა რიგის „სკონტოდან" წამოსული ქართველი ფეხბურთელი ლევან კორღალიძე. მისით აზერბაიჯანული კლუბიც იყო დაინტერესებული და რუსთავის „ოლიმპიც" ეპატიჟებოდა, სადაც კორღალიძემ რამდენჯერმე ივარჯიშა კიდეც, მაგრამ...



— ჯერჯერობით გაურკვეველ მდგომარეობაში ვარ. ახალი გუნდის მოძებნას მენეჯერები მპირდებიან და ახლა მათ პასუხს ველი... აზერბაიჯანული ვარიანტი კი იყო, მაგრამ ამაზე სერიოზულად არც მიფიქრია... ერთხანს „ოლიმპში" დარჩენაც გადავწყვიტე, მაგრამ შემდეგ აზრი შევიცვალე... საბოლოო პასუხს უახლოეს დღეებში შევიტყობ" — გვითხრა გუშინ კორღალიძემ.

ეს კი, მაგრამ უახლოეს დღეებს „აღარ უცდის" სატრანსფერო ფანჯარა, რომელიც დღეს იხურება. თუ კორღალიძემ ახალი კლუბის ამბავი ვერ შეიტყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ მაინც „ოლიმპში" აღმოჩნდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კომ დემეტრაძეს ნაკრები მოუწონა

**კო ადრიანსემ** სიტყვა შეასრულა და საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე „სკა-ენერგიასთან" ათამაშა — „მეტალურგი" 0:2 დამარცხდა.

დემემ მოედანზე საწყისი 45 წუთი გაატარა და თამაში მხოლოდ ერთხელ გაამწვავა.

მიუხედავად პასიური თამაშისა, კო ადრიანსეს ქართველი ფორვარდი თვალში მოსდის და ნამატჩევს ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, ეროვნულ ნაკრებში გამოძახება ქართველი ფეხბურთელის მაღალ დონეზე მიანიშნებსო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# პერტია დინაბურგში გიორგაძით დაბრუნდა

**ლატვიური** „დინაბურგი" თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა და თან ორი ქართველი ფეხბურთელი იახლა — ნახევარმცველი თამაზ პერტია (მოთამაშე-მწვრთნელი) და მცველი ბექა გიორგაძე.

ლატვიური სააგენტოების ცნობით, 18 წლის გიორგაძე „ოლიმპიდან" გადავიდა „დინაბურგში" და იქაურთა მოწონებაც დაიმსახურა.

შეკრების პირველ ტესტ-მატჩს „დინაბურგი" დღეს გამართავს რუსულ „ამკართან".

**ბახა ზალამბერიძე**

# საქართველო — თურქეთი: მოედანზეც და მედიცინაშიც

**საქართველოს** და თურქეთის ფეხბურთის ფედერაციების პრეზიდენტების შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, რომ 5-7 თებერვალს თბილისში სამედიცინო სემინარები ჩატარდება.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის სამედიცინო კომიტეტის თავმჯდომარე მეჰმეთ ბინეთი და ამავე კომიტეტის წევრები, ისმეთ დინდარი, ნექმეთ ინუნალი, ნევინ ურგუნი და მუჰლის ფოლათი სხვადასხვა თემაზე ლექციებს წაიკითხავენ.

სემინარში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამედიცინო კომიტეტის ხელმძღვანელი ვალერი ახალკაცი.

*სფფ-ის პრესსამსახური*

# რობერტო მანჩინი დამრგვალდა



**რობერტო მანჩინისთვის** სულერთია, რომ კვირას, „სამპდორიასთან“ ნათამაშები და 2:0 მოგებული მატჩი მისთვის, „ინტერის“ მწვრთნელის რანგში 150-ე გახლდათ. მოგეხსენებათ, იგივე მატჩში „შავლურჯებმა“ სერია A-ში ზედიზედ მოგებული თამაშების რეკორდი გააუმჯობესეს — ახლა, რეკორდი 14-ია. მოკლედ, გარშემო სულ საიუბილეო წარმატებებია, მაგრამ „მანჩოს“ სიხარულისთვის არ სცალია, ის მომდევნო თამაშის მოგებაზე ფიქრით გახლავთ დაკავებული.

„ასეთი რამეების კომენტირებისთვის შესაფერისი დრო სეზონის ბოლოს დადგება — უთხრა „ინტერის“ თავკაცმა ჟურნალისტებს — ჯერჯერობით კი ერთადერთი, რასაც ჩემთვის მნიშვნელობა აქვს, მოსაპოვებელი ქულებია. ცხადია, მრგვალი თარიღები სასიამოვნოა, მაგრამ თუ საბოლოოდ კარგი შედეგი არ იქნება, ამ თარიღებს არანაირი აზრი არ ექნებათ“.

მომდევნო ტურში კი „ინტერს“ მორიგი სერიოზული გამოცდა ელის — „სან სიროზე“ „რომა“ ჩადის. ეს თამაში, მართალია მცირე გადაჭარბებით, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ იტალიის ჩემპიონის ვინაობას გაარკვევს და მანჩინისაც, ბუნებრივია, მისი მნიშვნელობა სხვებზე კარგად ესმის.

„ეს რთული თამაში იქნება, რომელიც ნებისმიერი შედეგით შეიძლება დამთავრდეს — განმარტა ყოფილმა ფორვარდმა, რომელზეც ჭორაობენ, რომ მომავალი ზაფხულიდან „ჩელსის“ ჩაუდგება სათავეში — „ინტერი“ ამ შეხვედრაში ყველა ღონეს იხმარს, რათა გაიმარჯვოს. დარწმუნებული ვარ, გამარჯვებისთვის იბრძოლებს „რომაც“.

სერია A-ს ცხრილში დღეისათვის ასეთი ვითარებაა: პირველ ადგილზე მანჩინის „ინტერია“, რომელიც „რომას“ 11 ქულით უსწრებს, რის გამოც, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ტოტალიზატორმა SNAI-მ „ინტერის“ ჩემპიონობაზე იმთავითვე ჩასული ხალხის გასტუმრება დაიწყო.

„ტოტალიზატორებისა არაფერი გამეგება და ვერ გეტყვით, რატომ იქცევა თქვენს მიერ ნახსენები ორგანიზაცია ასე“ — ხელები გაშალა „სამპდორიას“ ყოფილმა თავდამსხმელმა და შემდეგი კითხვის პასუხზე გადავიდა, ის კი „სამპდორიასთან“ ხუთშაბათის სათასო დაპირისპირებას ეხებოდა:

„ვიცი, რომ „სამპდორიასთვის“ ამჟამად ჩვენთან სათასო ბრძოლაზე მნიშვნელოვანი, სერია A-ში „უდინეზესთან“ თამაშია, მაგრამ ორივე გუნდი მაინც გამარჯვებას შეეცდება და მიუხედავად იმისა, რომ პირველ შეხვედრაში 3:0 გვაქვს მოგებული, ჩვენ ჩვენსას ვეცდებით“.

**ბაჩუნა ძიძია**

# იუვეს მკვლელი ჟულფს მეძებდა

**გახსოვთ** „იუვენტუსის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი?

გახსოვთო? ის, შესაძლოა, ფეხბურთიდან წავიდა, მაგრამ გაზეთებიდან და ტელეეკრანებიდან ფეხიც არ მოუცვლია, დღე ისე არ გავა, რომელიმე იტალიურმა გამოცემამ მასზე რაიმე არ თქვას. ერთი სიტყვით, კაცი „ნიუსმეიქერად“ არის დაბადებული და პროფესია რამდენიც გინდა უცვალე.

და აი, მორიგი „ნიუსი“: კვირას, სატელევიზიო პროგრამა „ლი ბივიოს“, რაც ქართულად გზაჯვარედინს ნიშნავს, იტალიური „კალჩოპოლის“ მამამ გული გადაუშალა და უთხრა, რომ გასულ ზაფხულს თვითმკვლელობის პირას იყო. საკუთარი სიცოცხლის მოსწრაფვისგან მხოლოდ რელიგიურმა რწმენამ დამიცვაო.

ციტატა: „თვითმკვლელობაზეც ვფიქრობდი, მაგრამ რწმენამ შემაჩერა“.

მაგრამ როგორ გინდა დაიჯერო, რომ მოჯი მართლა აპირებდა თავის მოკვლას. სად ლუჩანო მოჯი და სად სუიციდი?

როგორც ჩანს ამის დაჯერება გადაცემის წამყვანსაც გაუჭირდა და ხელახლა ჰკითხა პატივცემულ სტუმარს: რაო?

„დიახ, ეს მართალია — იყო პასუხი — თავიდან,



როდესაც სკანდალი აგორდა, მართლა ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ შემდეგ აღარ“.

შეგახსენებთ, რომ ლუჩანო მოჯის მოღვაწეობა „იუვენტუსს“ ორი სკუდეტოს ჩამორთმევად, სერია B-ში გაგდებად და ქულების დაკლებად დაუჯდა, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ყოფილი გენერალური მენეჯერი „ბებერი ქალბატონის“ ბევრ ფანს კვლავაც გმირად მიაჩნია.

**ბაჩუნა ძიძია**

# გოლიჩი ჰამბურგში



**ცსკა-ს** ფორვარდი ივიცა ოლიჩი „ჰამბურგში“ გადავიდა და ორწელიწად-ნახევრიან კონტრაქტს გააფორმებს. მისი ჯამაგირი კი ორჯერ მეტი იქნება, ვიდრე მოსკოვურ კლუბში. შესაძლოა, მან დღესვე ითამაშოს „კოტბუსის“ წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ „ჰამბურგი“ ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვის და შეტევაში ძალიან უჭირს — 18 მატჩში 17 გოლი.

ხორვატმა განაცხადა: „ალბათ „კოტბუსთან“ ძირითად შემადგენლობაში ვიქნები. მე ხომ იმისთვის მიყიდეს, რომ გუნდს შეტევაში დავეხმარო და გოლები გავიტანო. ჩემი გადასვლა ცსკა-სთვისაც სარფიანია, რადგან კლუბი სეზონის ბოლომდე ორ მილიონ ევროს მიიღებს, დანარჩენს კი მერე. ვალერი გაზაევი იშვიათად მათამაშებდა, წასვლის მიზეზიც ესაა. ჩემპიონთა ლიგის და სხვა მნიშვნელოვან მატჩებში ფაქტობრივად, სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი. ამიტომაც აღარ გავაგრძელე კონტრაქტი“.

# რუნი ლოგინში

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ინგლისელ** ქალს, რომელიც ჩიოდა, რომ მეძავეობა და ფეხბურთელ უეინ რუნისთან სექსი დააბრალეს, საჩივარი არ დაუკმაყოფილეს.

ოღონდ, ძალიან გთხოვთ, ნუ წარმოიდგენთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ვარსკვლავი ლოგინში მშვენიერ ახალგაზრდა ქალს ჩაუგორდა. საუბარია 52 წლის შვიდი შვილის დედაზე, რომელსაც პატრისია ტიერნი ჰქვია და რომელიც გაზეთ „სანისგან“ მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 750 ათას გირვანქას ითხოვდა. კარგად რომ გავერკვათ, რა უნდოდა ქალბატონ ტიერნის, ერთი ვალუტა მეორეში გადავიყვან-გადმოვიყვანოთ და ვთქვათ, რომ 750 ათასი ინგლისური გირვანქა 1,47 მილიონი დოლარი ან 1,14 მილიონი ევროა.

ქალბატონი შვიდი შვილის დედა კერძოდ იმას ჩიოდა, რომ 2004 წლის აგვისტოში ზემოხსენებულ ტაბლოიდის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული იყო მისი ფოტო წარწერით: „საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა ნუ გაქვს, უეინ“. ქალბატონი დედა ჩიოდა, რომ ამ სტატიით მისი ღირსება შეილახა, რამეთუ მასში პირწმინდა ტყუილები ეწერა.

თავად 21 წლის რუნი აღიარებს, რომ „ახალგაზრდა და სულელი რომ იყო“ მართლა დადიოდა ბორდელებში, მაგამ ტიერნი კი ამბობს, რომ ლივერპულში, „დაივას“ მასაჟ-სალონის მიმლებში მუშაობდა.

რა უნდოდა რუნის ლივერპულში? რა და, ის „მანჩესტერ იუნაიტედამდე“ „ევერტონში“ გამოდიოდა.

ამასობაში კი მანჩესტერის სასამართლოში „სანის“ ვექილმა მოიტანა ლივერპულის პოლიციის დაკითხვის ოქმის ამონაწერი, სადაც ქალბატონი ტიერნი აღიარებს, რომ მეძავეობდა. შესაბამისად, მოსამართლისთვის ნათელი გახდა, რომ ქალი იტყუებოდა და „სანსაც“ მეტი რა უნდოდა, მყისვე გამოაცხადა, რომ პატრისია ტიერნი იმ ადამიანთაგანია, რომელიც გაზეთის ფულის მოხვეჭის მიზეზით ტყუილზე უჩივის.

**ბაჩუნა ძიძია**

# ძმაკაცმა იცის

**ანდრეი შევჩენკოს** ძველმა ძმაკაცმა სერგეი რებროვმა ინგლისურ გაზეთებს უთხრა, შევა იმიტომ ვერ თამაშობს, რომ ჟოზე მაურინიუს მისი არ სჯერაო.

„მაურინიუ ხშირად ამბობს, რომ შევასი ეიმედება, მაგრამ სინამდვილე სხვაა — თქვა რებროვმა — შევას ველაპარაკე და ბევრი ვიცი. ყველა მენეჯერი ირჩევს ფეხბურთელს, ვისიც შინაგანად სწამს ამა თუ იმ თამაშის წინ და მის ტაქტიკას ეხამება. ბევრ თამაშში ანდრეი ძირითადში ვერ მოხვდა და ვფიქრობ, რომ ამან ძალიან იმოქმედა მასზე“.

2000 წელს რებროვი 11 მილიონ სარეკორდო გირვანქად იყიდა „ტოტენჰემმა“, მაგრამ იქ ძირითადში ვერ დამკვიდრდა. ის ჯერ მიაქირავეს „ფენერბაჩეს“, მერე კი „ვესტ ჰემში“ გადავიდა, საიდანაც კიევს დაუბრუნდა. მან 59-ჯერ ითამაშა „ტოტენჰემში“ და მხოლოდ 10 გოლი შეაგდო. ახლა შევჩენკო თითქოს იმეორებს ძმაკაცის გზას.



„ყველა ფეხბურთელისთვის, ვინც ინგლისში გადადის, ადგილობრივ სტილთან შეგუება ძნელია — იხსენებს რებროვი — მერე მენეჯერი შეიცვალა და სკამზე აღმოვჩნდი. ამის შემდეგ იძულებული შევიქენი, სხვა კლუბი მეძებნა. არ გამოვრიცხავ, ანდრეიც ასე მოიქცეს“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ფერნანდო მორიენტესი: ტელევიზორმა მომატყუა



30 წლის ფერნანდო მორიენტესი ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფორვარდია. კარიერის უდიდესი ნაწილი მადრიდის „რეალში“ გაატარა, რომელთან ერთადაც სამჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ერთხელ საკონინენტთაშორისო თასი, ორჯერ პრიმერადივიზიონი და კიდევ არაერთ წარმატებას მიაღწია. ამას მოჰყვა „მონაკო“, „ლივერპული“... ახლა კი იგი „ვალენსიაშია“ და დავიდ ვილიასთან ერთად „ღამურების“ მთავარი დამრტყმელი ძალაა. **fifa.com** მას ბევრ საინტერესო საკითხზე ესაუბრა, მათ შორის 2006 წლის მუნდიალზეც, რომელზედაც ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ლუის არაგონესმა „მორო“ არ წაიყვანა

**— პრიმერადივიზიონის ნახევარმა უკვე ჩაიარა. როგორ შეაფასებდით ამ სეზონს?**

— მთლიანობაში კარგად. ბრწყინვალედ დავიწყეთ, მაგრამ მერე რამდენიმე პრობლემა შეიქმნა, ძირითადად ტრავმების გამო. პრიმერადივიზიონის ლიდერებს არცთუ ძალიან ჩამოვრჩებით და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ვართ.

**— როგორც ჩანს, კმაყოფილი ხართ, პრიმერადივიზიონში რომ დაბრუნდით.**

— დიახ. ერთ-ერთი საუკეთესო ევროპულ კლუბში ვარ, რომელიც უმაღლესი მიზნებისთვის, მათ შორის ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის იბრძვის. ასე რომ, მოტივაცია არ მაკლია.

**— გასულ უქმეებზე „ბეტისთან“ წაგებამდე, ზედიზედ ექვსი მატჩი გქონდათ მოგებული. თქვენი აზრით, ეს ნიშნავს იმას, რომ კრიზისი, რომელიც 2006 წლის ბოლოს გქონდათ, დაძლეულია?**

— მართლაც ძალიან ბევრი ფეხბურთელი გვყავდა დაშავებული, ზოგი ახლაც ლაზარეთშია. გარკვეული პერიოდის განმავლობაში არც კი ვიცოდით, ვის უნდა ეთამაშა ძირითად შემადგენლობაში და სრულიად გამოუცდელ ფეხბურთელებს უწევდათ ჩვენი წამყვანი მოთამაშეების შეცვლა. თან სამ ტურნირზე გვიწევს თამაში, რაც ადვილი არ არის. თუმცა ამ ყველაფერს მშვენივრად გავუმკლავდით და ახლა ისევ კარგ ფორმაში ვართ.

**— პრიმერადივიზიონის მოგებას „ვალენსია“ რეალურად ისახავს მიზნად?**

— როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალიან რთული პერიოდი მოვიტოვეთ უკან და ახლა ლიდერებთან ისე ახლოს ვართ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა რეალურად შეგვიძლია. ჩვენი მიზანი უბრალოდ ოთხეულში მოხვედრა არ არის. გვინდა, პირველ ადგილზე გავიდეთ და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

**— სეზონის ნახევარმა უკვე ჩაიარა და უშუალო კონკურენტების თამაშიც ნახეთ. ვის თვლით ფავორიტად?**

— ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, „სევილიას“ გამოვარჩევდი. ახლა „რეალს“, „ბარსელონას“ და ჩვენც გარკვეული პრობლემები გვაქვს, სევილიელები კი ყველაზე სოლიდურად გამოიყურებიან. თუმცა ჯერ ამაზე საუბარი ძალიან ადრეა, წინ დიდი ბრძოლაა და, ვფიქრობ, შანსი „ატლეტიკოსა“ და „სარაგოსასაც“ აქვთ.

**— ჩემპიონთა ლიგა თებერვალში განახლდება. მერვედფინალში თქვენი მეტოქე მილანის „ინტერი“ კი საოცარ ფორმაშია და თითქოს დაუმარცხებელია. აქვს თუ არა „ვალენსიას“ შანსი „ნერაძურისთან“?**

— ვიცით, რომ „ინტერი“ მართლაც ბრწყინვალე ფორმაშია და სერია A-ს დამაჯერებლად ლიდერობს. მილანელები თამაშს თამაშზე იგებენ და, რა თქმა უნდა, მათი ძლევა ძალიან ძნელი იქნება. ცუდია, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა რეალურად არ დაგვეხმარა, რადგან წილისყრამ მეტოქედ ამჟამად ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი გვარგუნა. თუმცა ჩვენი თავის გვჯერა და შანსი ნამდვილად გვაქვს. ხოლო „ინტერის“ დარი კლუბი თუ დავამარცხეთ, ეს უდიდეს სტიმულს მოგვცემს.

**— „რეალთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგა სამჯერ მოიგეთ. მერე „მონაკოს“ რიგებში ფინალში გახვედით და საუკეთესო ბომბარდირიც გახდით. ეს ტურნირი თქვენთვის განსაკუთრებულია?**

— ფაქტია, რომ ჩემპიონთა ლიგაში გამორჩეულად კარგად ვთამაშობ. ეს ტურნირი მართლაც განსაკუთრებულია არა მარტო ჩემთვის, არამედ ზოგადად. ჩემპიონთა ლიგაში ბევრად უფრო მოტივირებული ხარ და თითოეული წარმატება მეტად გიხარია. სხვა მსგავსი შეჯიბრი არ ვიცი და მისი უნიკალურობა ამაშია. ლიგა ფეხბურთელებისა და კლუბებისთვის ფინანსური და სატრანსფერო თვალსაზრისითაც საუკეთესო არენაა.

**— ინგლისში გატარებულ დროზე რას იტყვით?**

— კმაყოფილი ვარ, რომ პრემიერლიგაში თამაშის საშუალება მომეცა, ეს ძალიან მინდოდა. გახარებული ვიყავი, როცა „ლივერპულში“ გადავედი, მაგრამ, სამწუხაროდ, კლუბში სათანადოდ დამკვიდრება ვერ შევძელი. წელიწადნახევრის მერე, მივხვდი, რომ ჩემთვის ძალიან ძნელი იყო ინგლისთან შეგუება, როგორც პროფესიული, ასევე ადამიანური თვალსაზრისით და რაღაც უნდა შემეცვალა. ასეთ შემთხვევებში ატმოსფეროს შეცვლა საუკეთესო გამოსავალია. საბედნიეროდ, „ვალენსიას“ წინადადებამ არ დააყოვნა. პრემიერლიგა ძალიან განსხვავებული და რთული ჩემპიონატია. ერთია, მას ტელევიზორში უყურო და მეორეა, ითამაშო. ეს გაცილებით ძნელია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

**— კარიერის ყველაზე ბედნიერი და წარმატებული პერიოდი ალბათ მაინც „რეალში“ გქონდათ...**

— არ ვთვლი, რომ სადმე ბედნიერი არ ვიყავი და თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. თუმცა ფაქტია, რომ ჩემი მთავარი მიღწევები მადრიდს უკავშირდება. იქ ძალიან დიდი დრო გავატარე და ბევრი მეგობარი შევიძინე. უამრავი ტკბილი მოგონებაც მაქვს. „რეალს“ ჩემს გულში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ექნება.

**— „რეალს“ ხუთი თითივით იცნობთ და მის ამჟამინდელ მდგომარეობაზე რას იტყვით? მადრიდელები არადამაჯერებლად თამაშობენ და კრიტიკოსებიც მრავლად ჰყავთ.**

— ძალიან მოკლე პერიოდში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა და „რეალის“ დონის კლუბებისთვის მსგავს ვითარებაში სტაბილურობის შენარჩუნება ძალიან ძნელია. დრო უნდა, რომ ყველაფერი ისევ დალაგდეს. [illegible] ბულ სიტუაციას დიდი მნიშვნელობა აქვს და თუ მთელ კლუბში ყველაფერი წესრიგში არ არის, ეს ფეხბურთელების თამაშზეც აისახება.

**— როგორ ფიქრობთ, ინგლისთან მომავალი ამხანაგური მატჩისთვის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი გამოგიძახებთ?**

— ნამდვილად არ ვიცი. ამაზე არც მიფიქრია, რადგან ეს ფეხბურთელებზე არ არის დამოკიდებული. ნაკრების ბოლო მატჩში გამომიძახეს, მაგრამ ცუდად ვითამაშე. იმედია, ვითარებას მალე გამოვასწორებთ და სასურველ შედეგებსაც მივაღწევთ.

**— ესპანეთმა ის თამაში რუმინეთთან წააგო. თავდასხმაში თქვენ დავიდ ვილიასთან ერთად იყავით. კლუბში ბრწყინვალედ გამოიყურებით და რა მოგდით ნაკრებში?**

— ხშირად მატჩებში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გინდა. კარგი ის არის, რომ ნაკრების მწვრთნელს თავდასხმაში ფართო არჩევანის საშუალება აქვს. თქმაც არ უნდა, რომ ესპანეთს მრავალი უმაღლესი კლასის მოთამაშე ჰყავს, რომლებიც თავიანთ კლუბებში ბრწყინავენ, მაგრამ ნაკრებში რატომღაც ყველაფერი სხვანაირად არის. როგორც ჩანს, გამარჯვების ფორმულა გვჭირდება, რომელსაც ჯერ ვერ მივაგენით. ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონობაზე საუბარი ახლა არარეალური და ნაადრევი მეჩვენება. მთავარია, ევრო 2008-ზე გავიდეთ, ეს აუცილებლად უნდა შევძლოთ. დანარჩენი მერე გამოჩნდება, ყველაფერი ჩვენს ხელშია. თითოეული მოთამაშე ბოლომდე უნდა დაიხარჯოს და მინდორზე ყველაფერი დადოს.

**— კვლავ გულდაწყვეტილი ხართ იმის გამო, რომ 2006 წლის მუნდიალზე არ წაგიყვანეს?**

— იმ პერიოდში დარწმუნებული ვიყავი, რომ გერმანიაში წამიყვანდნენ და განვიცადე, ასე რომ არ მოხდა. თუმცა ფეხბურთელებს მწვრთნელი ირჩევს და ჩვენ ვერაფერს ვერ შევცვლით, მის გადაწყვეტილებებს უნდა დავემორჩილოთ და დავეთანხმოთ, როგორც არ უნდა გვწყდებოდეს გული. ნაკრებს ოჯახთან ერთად ტელევიზორში ვუყურებდი და ვგულშემატკივრობდი.

# ჰიდინკი სასამართლოს დამალობანას ეთამაშება



**რუსეთის** ნაკრების მწვრთნელის გუს ჰიდნიკის სასამართლო პროცესი გუშინ დენ ბოსხში დაიწყო. ჰიდინიკს გადასახადების დამალვას აბრალებენ. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელი სამხრეთ კორეის ნაკრებიდან წამოსვლის შემდეგ სამშობლოში დასახლდა, მაგრამ მისამართში ბელგიური ქალაქი აჰელი ეწერა.

საგადასახადო ინსპექტორების აზრით, მწვრთნელმა ისინი მოატყუა, მიზეზი კი ისაა, რომ ბელგიაში საშემოსავლო გადასახადი ნაკლებია. ჰიდნიკი ამტკიცებს, რომ გარკვეულ პერიოდში მართლა ცხოვრობდა აღნიშნულ მისამართზე, სადაც სახლი აქვს და არავინ მოუტყუებია: „ჩემი სინდისი სუფთაა. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არ მითაღლითია და ყველაფერი პატიოსნად გადავიხადე.“

საქმის წინასწარი მოსმენა 2006 წლის ნოემბერში შედგა, როცა ჰიდნიკის ადვოკატის იან ლელიფელდის პროტესტს ყური არ უგდეს, რომელიც ამტკიცებდა, ეს ამბავი სასამართლოში გარჩევას არ ექვემდებარებაო.

გუშინ სასამართლომ საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტი განიხილა, ხოლო ზეგ ბრალმდებელი და ადვოკატი დაეჯახებიან ერთმანეთს, შემდეგ კი მოწმეებს მოუსმენენ.

თუკი ჰიდნიკს ბრალდება დაუმტკიცდება, მას მსუყე ჯარიმის გადახდა მოუწევს და, გამორიცხული არაა, ციხეშიც აღმოჩნდეს.

ირაკლი ნინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი შინ ბრუნდება?

## ინგლისი ბლატერს გაეპრანჭება



**სხვა ვარიანტი** არ არისო, თქვა გერმანული ფეხბურთის ლეგენდამ ფრანც ბეკენბაუერმა და ინგლისელებმაც გაიხარეს, რადგან საუბარი 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ინგლისში გამართვას ეხებოდა.

ბენეკბაუერის ამბავი მოგეხსენებათ, იგი, გარდა იმისა, რომ ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავი იყო, მოქმედი საფეხბურთო მოღვაწეც გახლავთ და თან ფრიად წარმატებული. სწორედ ბეკენბაუერი ბრძანდებოდა 2006 წელს გერმანიაში ჩატარებული მუნდიალის მთავარი ორგანიზატორი და როგორც ამ ჩემპიონატის დამსწრეთაგან და მონაწილეთაგან ვიცით, უბადლო ატმოსფერო შექმნა. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ფიფას ალმასკომის წევრსა და ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურას კარგად მოეხსენება რას ამბობს.

შეგახსენებთ, რომ ინგლისი ერთხელ უკვე იყო მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი. ეს 1966 წელს მოხდა, როდესაც მასპინძლობასთან ერთად ინგლისელებმა ტიტულიც მოიპოვეს. დღეს 61 წლის ბეკენბაუერი ასე ამბობს:

„მე 100 პროცენტით ინგლისს ვუჭერ მხარს. ამ ქვეყანას ხომ ყველაფერი აქვს, საუკეთესო სტადიონები, ქომაგები, ზოგადი ინფრასტრუქტურა. მსოფლიოს ჩემპიონატის სამასპინძლოდ უკეთეს ადგილს ვერ ინატრებ“.

საგულისხმოა, რომ ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა ტონი ბლერმა ამასწინათ პირადადაც დაუჭირა მხარი ზემოხსენებულ პროექტს. ერთი სიტყვით, 2010 წელს მუნდიალი სამხრეთ აფრიკაში გაიმართება, 2014 წელს, თუ რამ სასწაული არ მოხდა, ბრაზილიას ვერავინ უნდა შეეცილოს, 2018 წელს კი ფიფას როტაციის წესის შესაბამისად ევროპის ჯერი დადგება და ინგლისიც მზად არის. თუმცა, მზად არის ესპანეთიც...

და მაინც, ფრანც ბეკენბაუერი ასე ამბობს: „ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა შეუძლია ინგლისია. აბა, ევროპიდან სხვა შეძლებს ამას? საფრანგეთმა 1998 წელს უკვე უმასპინძლა მსოფლიოს ჩემპიონატს, ხოლო იტალიას ინფრასტრუქტურა არ უვარგა“.

შეგახსენებთ, რომ ინგლისს 2006 წლის მუნდიალის მასპინძლობა სურდა. მაშინ, ის და გერმანია კონკურენტები იყვნენ. საბოლოოდ გერმანიამ გაიმარჯვა, მაგრამ კაიზერ ფრანცის რწმენით ეს, 2018 წლის ჩემპიონატის ხელში ჩასაგდებად ინგლისელთათვის უკეთესიც არის.

ცნობილია, რომ ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი თებერვალში ლონდონში ჩადის და დაუნინგ სრტიტ 11-ში სპორტის მინისტრ რიჩარდ კებრონსა და მომავალ პრემიერ მინისტრ გორდონ ბრაუნს შეხვდება. საკითხი შეისწავლა ხაზინამაც. მას შეუძლია წარადგინოს დაწვრილებითი ანგარიში თუ რამდენად ხელეწიფება ინგლისს ამ პროექტისთვის თავის გართმევა.

კებრონი: „2006 წლის ამბავი იმთავითვე განწირული გახლდათ, რადგან ჩვენ გერმანელებთან შეთანხმებულნი ვიყავით, რომ იმ ჩემპიონატს ისინი წაიღებდნენ, ახლა კი სხვა ამბავია. ახლა ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ყველაფერი რიგზე გვქონდეს. ამჯერად ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას მთავრობის მხარდაჭერისა უნდა ეიმედებოდეს და ჩვენ 28 თებერვალს ზეპ ბლატერს თავი უნდა მოვაწონოთ. მისი ლონდონში ვიზიტი უნიკალურ საშუალებას გვაძლევს, მსოფლიო ფეხბურთის მთავარ ძალას უშუალოდ დაველაპარაკოთ“.

**ბაჩუნა კედია**



# კანავარომ ჯიბე ოსკარებით აივსო

**იტალიის** ფეხბურთელთა ასოციაციამ 2006 წლის საუკეთესოები გამოავლინა. „ოსკარ დელ კალჩოს“ (ფეხბურთის ოსკარის) დაჯილდოვების ცერემონია მილანში გაიმართა. გასაკვირი არ არის, რომ ყველაზე მეტი ჯილდო ფაბიო კანავარომ მოიპოვა, რომელსაც მართლაც ჩინებული წელი ჰქონდა.

მადრიდის „რეალის“ ვეტერანმა მცველმა 2006 წელს „იუვენტუსთან“ ერთად სკუდეტო მოიგო (რომელიც მერე ტურინელებს ჩამოართვეს). ამას მუნდიალზე ბრწყინვალე თამაში ოქროს მედალი მოჰყვა. მოგვიანებით, „სკუადრა უძარას“ კაპიტანი „უორლდ სოკერისა“ და ფიფას ვერსიით წლის საუკეთესო მოთამაშე გახდა და რაც მთავარია მოიპოვა „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთი“.

ახლა კი კანავაროს „ოსკარ დელ კალჩოს“ სამი ჯილდო ხვდა წილად. იგი საუკეთესო ფეხბურთელად, საუკეთესო იტალიელ მოთამაშედ და სერია A-ს წლის საუკეთესო მცველად დაასახელეს.

ორი ჯილდო მოიპოვა ჯანლუიჯი ბუფონმა. „იუვენტუსის“ კარის დარაჯი საუკეთესო მეკარედ აღიარეს და ასევე, ყველაზე საყვარელ ფეხბურთელად. ამ ნომინაციაში 166300 ხმიდან 44836 მიიღო.

**გიორგი კაკაბაძე**

საუკეთესო ფეხბურთელი: ფაბიო კანავარო
საუკეთესო იტალიელი მოთამაშე: ფაბიო კანავარო
სერია A-ს საუკეთესო ლეგიონერი: კაკა და დავიდ სუაზო
საუკეთესო ახალგაზრდა: დანიელე დე როსი
საუკეთესო მეკარე: ჯანლუიჯი ბუფონი
საუკეთესო მცველი: ფაბიო კანავარო
საუკეთესო მნვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
საუკეთესო მსაჯი: რობერტო როზეტი
საუკეთესო ბომბარდირი: ლუკა ტონი
საუკეთესო გოლი: ფრანჩესკო ტოტი („რომა“ — „სამპდორია“)
ფანების საყვარელი მოთამაშე: ჯანლუიჯი ბუფონი



# დამეხმარე, დამიკო!

**სიცილიური** „პალერმოს“ ფორვარდი ანდრეა კარაჩოლო შესაძლოა, „ტორინოში“ გადაბარგდეს. იგი „როსანეროში“ 2003 წელს „ბრეშადან“ გადავიდა, მაგრამ კლუბის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო. 25 წლის თავდამსხმელი წასვლაზე ადრეც ფიქრობდა და მსურველებიც არ აკლდა, ინგლისური „ლივერპულის“ თამადობით. თუმცა მას მერე, რაც ამაურიმ სერიოზული ტრავმა მიიღო, „პალერმოს“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მის შემცვლელად არავინ ეყიდა და კარაჩოლოსთვის შანსი მიეცა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამაოდ.

გასულ უქმეებზე სიცილიელებმა შინ „ლაციოსთან“ 0:3 წააგეს და „პალერმოს“ ქომაგებმა კარაჩოლოს უსტვინეს, რაც მას არ ესიამოვნა და ამბობენ, საკუთარ აგენტ ანდრეა დამიკოს სთხოვა, ეგებ ტრანსფერი სასწრაფოდ, იანვარშივე გაჩარხოო. კარაჩოლოს „ტორინოში“ გადასვლა სწადია და, გავრცელებული ცნობით, ტურინელებთან პირადი კონტრაქტის დეტალები უკვე შეათანხმა.

„თუ „პალერმო“ წასვლის ნებას დამრთავს, ჩემი მომავალი კლუბის ვინაობა უკვე ვიცი — „ტორინოში“ მსურს თამაში“ — აღნიშნა ცოტა ხნის წინ კარაჩოლომ.

იტალიური პრესის ცნობით, „როსანეროს“ პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი კარაჩოლოს 8,5 მილიონ ევროზე ნაკლებად არ გაუშვებს. თუმცა მისი ტორინოელი კოლეგა ურბანო კაირო ამდენის გადახდას არ აპირებს. მიაღწევენ თუ არა მხარეები საბოლოო შეთანხმებას, სულ მალე გავიგებთ, რადგან ზამთრის სატრანსფერო სეზონის დახურვამდე ძალიან ცოტა დრო რჩება.

აქვე ვთქვათ ისიც, რომ გავრცელებული ინფორმაციით, საცაა, „პალერმო“ ახალგაზრდა იტალიური წარმოშობის ურუგვაელ ვარსკვლავ ედისონ კავანის შეიძენს. „დანუბიო მონტევიდეოს“ 19 წლის თავდამსხმელს იტალიაში უკვე კარგად იცნობენ და ახალ ზლატან იბრაჰიმოვიჩსაც ეძახიან. მას სხვა მსურველებიც ჰყავს.

**კოკი კანდელაკი**

# კაჭკაჭი გუჩი

**„ნიუკასლის“** ახალი ბიჭი ოგუჩი ონიევუ ოფიციალურადაა აღიარებული ამერიკის №1 ფეხბურთელად. 24 წლის მცველმა, რომელსაც მეტსახელად გუჩის ეძახიან, ამ ტიტულისათვის ისეთ განთქმულ თანამემამულეებს აჯობა, როგორებიც არიან დამარკუს ბისლი, მაკბრაიდი, კარლოს ბოკანეგრა და ბობ კონვეი.

გუჩის წარმატების მთავარი მიზეზი მსოფლიო თასზე კარგი თამაში და იქ იან კოლერის და ლუკა ტონის ამოკეტვაა.

ონიევუ გუშინ ჩავიდა ნიუკასლში და სამედიცინო შემოწმებაც გაიარა. ჯორდებს მისი გადმოყვანა გვარიან შრომად დაუჯდათ: მისთვის ლამის ყველა ცნობილ კლუბს დაედგა თვალი. მცველი „კაჭკაჭებს“ უეფას თასზე ვერ დაეხმარება, სრულფასოვან კონტრაქტს კი ზაფხულში გააფორმებს.

დღეს სატრანსფერო ფანჯარა იხურება, ნიუკასლელებს კი სურთ რომ „სენტ ეტიენიდან“ თავდამსხმელ ფრედერიკ პიკიონის გადმოყვანა მოასწრონ.



ჯეიმს მილნერი კინაღამ „ასტონ ვილაში“ გადავიდა, თუმცა მენეჯერმა გლენ რიოდერმა არაფრით ქნა: ბიჭი თამაშში 13 კილომეტრს დარბის და რატომ უნდა შევველიოთო.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ფეხბურთის რუკასთან

**ჰოლანდიის** ნაკრების ყოფილი მეკარე რონალდ ვატერეუსი ნიუ იორკის „რედ ბულსში“ გადავიდა. 36 წლის გოლკიპერს პსვ-ში ათი სეზონი აქვს გატარებული, რის მერეც იგი „მანჩესტერ სიტისა“ და გლაზგოს „რეინჯერსში“ თამაშობდა. „ჩვენ ძალიან გამოცდილი მეკარე დავიმატეთ. იმედი გვაქვს, რომ ლიდერის ფუნქციას იტვირთავს, რაც გუნდს წაადგება“ — აღნიშნა „რედ ბულსის“ მწვრთნელმა ბრიუს არენამ.

**პორტუგალიურმა** „ბენფიკამ“ მოსკოვის „დინამოდან“ ექვსი თვით ინათხოვრა ვანდერლეი ფერნანდეს სილვა ანუ დერლეი. „ძალიან მიხარია და თავდაუზოგავი შრომისთვის მზად ვარ“ — თქვა 31 წლის ბრაზილიელმა, რომლის კონტრაქტიც „არწივებმა“ სეზონის ბოლოს, შესაძლოა, სრულიად გამოისყიდონ. პარალელურად ლისაბონელებმა 20 წლის პერსპექტიულ ნახევარმცველ მანუელ ფერნანდესთან კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივეს და იგი სეზონის ბოლომდე ლივერპულის „ევერტონს“ ათხოვეს.

**იტალიურმა** „კიევომ“ სერია B-ს ბინადარი „ლეჩედან“ 22 წლის ფორვარდი ჯუზეპე კოცოლინო დაიმატა. ვერონელებმა მისი კონტრაქტის ნახევარი გამოისყიდეს და სანაცვლოდ, „ლეჩეს“ ასევე სანახევროდ, ნახევარმცველი ანდრეა ძანკეტა დაუთმეს.

**ესპანური** პრიმერადივიზიონის აუტსაიდერმა „ხიმნასტიკმა“ ბელგიური „შარლერუადან“ ნახევარმცველი სებასტიან შაბო დაიმატა. მხარეებმა წელიწად-ნახევრიანი კონტრაქტი გააფორმეს. შაბო თავის ახალ გუნდს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაში უნდა დაეხმაროს, რაც ადვილი არ იქნება, რადგან „ხიმნასტიკი“ ამჟამად 12 ქულით ცხრილის ფსკერზეა და გადარჩენა ძალიან გაუჭირდება.

# უცხო თირკმელი

**ივან კლასნიჩისთვის** თირკმელის გადანერგვის პირველი მცდელობიდან არაფერი გამოვიდა. ბრემენის „ვერდერისა“ და ხორვატიის ნაკრების ფორვარდის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფეხბურთელის ორგანიზმმა უცხო თირკმელი ვერ შეისისხლხორცა, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. „ვითარების გართულების მიუხედავად, კლასნიჩი თავს კარგად გრძნობს“ — თქვა კლაუს-პეტერ ჰორნდაშმა.

ხორვატმა ნოემბერში აპენდიქსის ოპერაცია გაიკეთა და თირკმელის პრობლემაც ამის შემდეგ წარმოიშვა. ექიმები არკვევენ თუ რატომ ვერ მიიღო ახალი თირკმელი ფეხბურთელის ორგანიზმმა. კლასნიჩს ამჟამად ახალი დონორი სჭირდება საკუთარი ოჯახის წევრებიდან. დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში სხვადასხვა ტესტები უნდა გაიაროს და გადანერგვის მეორე მცდელობაც მერელა იქნება.

„თავიდან კლასნიჩი მორალურად მოტეხილი იყო, მაგრამ ახლა არა უშავს“ — თქვა ჰორდნაშმა. ხორვატი „ვერდერში“ 2001 წლიდანაა და 135 მატჩში 42 გოლი შეაგდო. ნაკრების მაისურით კი 26 შეხვედრაში რვა გოლი მიითვალა.



შარშანდელ ბუნდესლიგაში 29 მატჩში 14 გაიტანა, ამ სეზონში კი 12-ში მხოლოდ ერთი მოასწრო.

**ირაკლი ნინიძე**

# მტოო ხელიდან ხელში გადადის



**სამუელ ეტოო** ნელ-ნელა ფორმაში შედის. პირად მწვრთნელ ფრანსესკო კოსას ხელქვეით დღეში უკვე ორჯერ ვარჯიშობს. გუშინ ტესტირება გაიარა ექიმ რამონ კუგატთან, რომელიც მის ჯანმრთელობაზე აგებს პასუხს. ხვალიდან სხვა მწვრთნელის, ჰაკო სეირულოს ხელში გადავა და ბურთს კიდევ უფრო გაუშინაურდება. როცა სრულად ჩაერთვება გუნდის სავარჯიშო პროცესში, რაიკარდი და სამწვრთნელო შტაბი გადაწყვეტენ თუ როდის ითამაშებს ტრავმამოშუშებული კამერუნელი.

ექიმის გათვლებით სამუელ ეტოო მზად იქნება 11 თებერვლისთვის, როცა „ბარსელონა“ „რასინგს“ შეხვდება. თუ ეს მოხდა, ეტოო ადრე დათქმულ ვადაზე ორი კვირით ადრე დაუბრუნდება მოედანს. ფრანკ რაიკარდს სურს, რომ ფორვარდი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ათამაშოს. პირველი მატჩი „ბარსასა“ და „ლივერპულს“ შორის 21 თებერვალს „კამპ ნოუზე“ გაიმართება.

თუკი ეტოო „რასინგთან“ მხოლოდ მეორე ტაიმში თამაშს შეძლებს, მაშინ მას კიდევ 10 დღე დასჭირდება ტრავმამდელი ფორმის დასაბრუნებლად. იგი ალბათ 18 თებერვალს „ვალენსიასთანაც“ ითამაშებს, რათა „ლივერპულისთვის“ მწყობრში იყოს.

**ირაკლი ნინიძე**

# სავიოლა ბარსას ელის და ბებერზე ფიქრობს

**ტურინის** „იუვენტუსმა“ პარაგვაელი ფორვარდი ტომას გუზმანი სეზონის ბოლომდე „სპეციას“ ათხოვა. ეს კლუბები ერთმანეთს სერია A-ში გასულ შაბათს შეხვდნენ და აქედან 48 საათში გუზმანის ტრანსფერიც გაიჩარხა.

პარაგვაელი ფორვარდი, რომელიც მარტში 25 წლის გახდება, „იუვემ“ 1999 წელს იყიდა, მაგრამ მას ტურინელთა რიგებში თავის გამოჩენის შანსი არ მისცემია. გუზმანი აქამდე უკვე იყო განათხოვრებული „ტერნანაში“, „მესინაში“, „კროტონესა“ და „სიენაში“.

იტალიური პრესა კი კვლავ ხავიერ სავიოლას „იუვენტუსში“ შესაძლო გადასვლაზე ალაპარაკდა. ამის საფუძველი აპენინურ ჟურნალ-გაზეთებს „ბაჭიას“ ცოტა ხნის წინ გაკეთებულმა განცხადებამ მისცა — თუ „ბარსელონა“ ახლო მომავალში კონტრაქტის გახანგრძლივებას არ შემომთავაზებს, კლუბის გამოცვლაზე დავიწყებ ფიქრსო.

ბოლო დროს ბრწყინვალედ ათამაშებული არგენტინელით „რეალი“ და „ვალენსიაც“ იყვნენ დაინტერესებულნი, თუმცა ახლა მის მთავარ მსურველად „ბებერი ქალბატონი“ ითვლება, რომლის თავკაცი დიდი დეშანი სავიოლისადმი დიდი სიმპათიით არის განწყობილი. მათ ერთად „მონაკოში“ უმუშავიათ.

„სხვა კლუბში გადასვლაზე არ მინდა ვიფიქრო, მაგრამ, თუ „ბარსელონას“ წინადადებას დროულად არ მივიღებ, მომიწევს. მაშინ ვეცდები, საუკეთესო ვარიანტი ავირჩიო, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ჩემს კარიერაში. თუმც ხაზს ვუსვამ, რომ „ბარსაში“ დარჩენა მსურს და იმედია, ასეც მოხდება. ვფიქრობ, ეს საკითხი მალე გაირკვევა“ — განაცხადა სავიოლამ.



დაბოლოს, გავრცელებული ცნობით, „იუვენტუსი“ ზდენეკ გრიგერას არ ეშვება. ის, რომ ამსტერდამის „აიაქსის“ ჩეხი მცველი ამ სეზონის ბოლოს „ბიანკონერიში“ გადავა, უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ „ბებერ ქალბატონს“ მისი ხელში ჩაგდება ახლავე სურს. ასეა თუ ისე, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათი დარჩა და ყველაფერი მალე გაირკვევა.

**გიორგი ქაქაბაძე**

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXII ტური

ლე ავრი 2:0 გენგამი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 21 | 14 | 6 | 1 | 32:11 | 48 |
| კაენი | 22 | 13 | 8 | 1 | 41:19 | 47 |
| სტრასბური | 22 | 11 | 8 | 3 | 27:17 | 41 |
| ლე ავრი | 22 | 10 | 9 | 3 | 33:17 | 39 |
| დიჟონი | 22 | 10 | 6 | 6 | 26:24 | 36 |
| შატორუ | 22 | 10 | 5 | 7 | 26:23 | 35 |
| რეიმსი | 22 | 9 | 7 | 6 | 27:22 | 34 |
| გრენობლი | 22 | 8 | 9 | 5 | 33:25 | 33 |
| ამიენი | 22 | 9 | 4 | 9 | 27:29 | 31 |
| გენიონი | 22 | 8 | 5 | 9 | 25:30 | 29 |
| ბასტია | 22 | 7 | 7 | 8 | 29:29 | 28 |
| აიაჩო | 22 | 7 | 7 | 8 | 21:23 | 28 |
| ლიბურნი | 21 | 6 | 5 | 10 | 27:31 | 23 |
| მონპელიე | 22 | 6 | 5 | 11 | 23:29 | 23 |
| კრეტეი | 22 | 5 | 8 | 9 | 18:27 | 23 |
| ბრესტი | 22 | 4 | 10 | 8 | 25:29 | 22 |
| გენგამი | 22 | 3 | 9 | 10 | 20:27 | 18 |
| ისტრი | 22 | 4 | 6 | 12 | 16:34 | 18 |
| ნიორი | 22 | 3 | 8 | 11 | 18:31 | 17 |
| ტურსი | 22 | 4 | 4 | 14 | 17:34 | 16 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XIX ტური

კაიზერსლაუტერნი 1:1 კარლსრუე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 19 | 12 | 6 | 1 | 44:19 | 42 |
| ჰანზა | 19 | 10 | 7 | 2 | 30:15 | 37 |
| დუისბურგი | 19 | 9 | 9 | 1 | 37:20 | 36 |
| აუე | 19 | 10 | 3 | 6 | 29:25 | 33 |
| ლაუტერნი | 19 | 8 | 8 | 3 | 26:17 | 32 |
| ოფენბახი | 19 | 8 | 4 | 7 | 26:27 | 28 |
| მიუნხენი | 19 | 8 | 4 | 7 | 24:25 | 28 |
| ფიურტი | 19 | 7 | 5 | 7 | 29:23 | 26 |
| აუგსბურგი | 18 | 6 | 7 | 5 | 18:16 | 25 |
| ფრაიბურგი | 19 | 6 | 7 | 6 | 21:25 | 25 |
| კიოლნი | 19 | 6 | 6 | 7 | 28:26 | 24 |
| პადერბორნი | 18 | 4 | 8 | 6 | 14:18 | 20 |
| კობლენცი | 19 | 5 | 5 | 9 | 20:28 | 20 |
| უნტერჰახინგი | 19 | 4 | 7 | 8 | 18:21 | 19 |
| ბურგჰაუზენი | 19 | 4 | 5 | 10 | 19:35 | 17 |
| კარლ ცაისი | 19 | 3 | 7 | 9 | 20:37 | 16 |
| ესენი | 19 | 3 | 5 | 11 | 16:25 | 14 |
| ბრაუნშვაიგი | 19 | 2 | 7 | 10 | 11:28 | 13 |

## იტალია

სერია B. XXI ტური

ნაპოლი 1:1 ჯენოა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 21 | 14 | 6 | 1 | 37:13 | 39 |
| ნაპოლი | 21 | 9 | 10 | 2 | 22:13 | 37 |
| ბოლონია | 21 | 11 | 4 | 6 | 25:17 | 37 |
| მანტოვა | 21 | 9 | 9 | 3 | 24:15 | 36 |
| ჯენოა | 21 | 10 | 6 | 5 | 34:27 | 36 |
| პიაჩენცა | 21 | 10 | 5 | 6 | 24:22 | 35 |
| რიმინი | 21 | 9 | 7 | 5 | 34:22 | 34 |
| ტრიესტინა | 21 | 7 | 9 | 5 | 15:16 | 29 |
| ალბინოლეფე | 21 | 5 | 14 | 2 | 19:16 | 29 |
| ჩეზენა | 21 | 7 | 8 | 6 | 30:30 | 29 |
| ბარი | 21 | 7 | 7 | 7 | 20:17 | 28 |
| ბრეშა | 21 | 7 | 7 | 7 | 23:24 | 28 |
| ფროზინონე | 21 | 7 | 7 | 7 | 23:24 | 28 |
| ტრევიზო | 21 | 6 | 8 | 7 | 25:24 | 26 |
| ლეჩე | 21 | 6 | 4 | 11 | 26:33 | 22 |
| ვიჩენცა | 21 | 5 | 6 | 10 | 21:23 | 21 |
| სპეცია | 21 | 4 | 9 | 8 | 21:29 | 21 |
| მოდენა | 21 | 5 | 6 | 10 | 12:20 | 21 |
| კროტონე | 21 | 3 | 10 | 8 | 16:26 | 19 |
| ვერონა | 21 | 4 | 5 | 12 | 9:21 | 17 |
| პესკარა | 21 | 2 | 7 | 12 | 17:37 | 12 |
| არეცო | 21 | 3 | 8 | 10 | 15:23 | 11 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა*

## პორტუგალია

სუპერლიგა. XVI ტური

ნასიონალი 3:2 მარიტიმუ

1:0 ამარო (9), 2:0 გრეგორი (12ს.კ.), 2:1 ფ. ოლივეირა (66), 3:1 ბრუნო (69), 3:2 ლიპატინი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 16 | 13 | 1 | 2 | 34:9 | 40 |
| ბენფიკა | 16 | 11 | 2 | 3 | 34:14 | 35 |
| სპორტინგი | 16 | 10 | 4 | 2 | 23:10 | 34 |
| ბრაგა | 16 | 7 | 4 | 5 | 23:22 | 25 |
| ლეირია | 16 | 7 | 4 | 5 | 14:15 | 25 |
| ნასიონალი | 16 | 7 | 3 | 6 | 24:18 | 24 |
| ნავალი | 16 | 6 | 6 | 4 | 15:12 | 24 |
| ფერეირა | 16 | 6 | 6 | 4 | 18:21 | 24 |
| მარიტიმუ | 16 | 7 | 2 | 7 | 19:21 | 23 |
| ბელენენსეში | 16 | 6 | 3 | 7 | 16:16 | 21 |
| ბოავიშტა | 16 | 4 | 6 | 6 | 19:21 | 18 |
| ამადორა | 16 | 4 | 5 | 7 | 9:17 | 17 |
| აკადემიკა | 16 | 3 | 4 | 9 | 18:25 | 13 |
| სეტუბალი | 16 | 3 | 3 | 10 | 9:25 | 12 |
| ავეში | 16 | 2 | 3 | 11 | 10:23 | 9 |
| ბეირა მარი | 16 | 1 | 6 | 9 | 15:31 | 9 |

## ჰოლანდია

II დივიზიონი. XXV ტური

ვეენდამი 2:0 იგლსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრააფსხაპი | 25 | 17 | 4 | 4 | 57:26 | 55 |
| როზენდალი | 25 | 16 | 6 | 3 | 61:25 | 54 |
| ვენლო | 25 | 14 | 6 | 5 | 42:28 | 48 |
| დორდრეხტი | 25 | 14 | 4 | 7 | 51:27 | 46 |
| დენ ბოსხი | 25 | 13 | 5 | 7 | 40:29 | 44 |
| ვეენდამი | 25 | 10 | 11 | 4 | 44:29 | 41 |
| იგლსი | 25 | 11 | 7 | 7 | 36:29 | 40 |
| ვოლენდამი | 25 | 10 | 9 | 6 | 35:27 | 39 |
| ტელსტარი | 25 | 10 | 5 | 10 | 45:42 | 35 |
| ემენი | 25 | 9 | 7 | 9 | 44:42 | 34 |
| ჰაარლემი | 25 | 8 | 9 | 8 | 32:33 | 33 |
| ალმერე | 25 | 8 | 6 | 11 | 39:51 | 30 |
| ზვოლე | 25 | 6 | 8 | 11 | 35:35 | 26 |
| მაასტრიხტი | 25 | 6 | 8 | 11 | 28:37 | 26 |
| კამბური | 25 | 7 | 5 | 13 | 27:42 | 26 |
| ოსი | 25 | 7 | 5 | 13 | 38:57 | 26 |
| აპელდორნი | 25 | 6 | 5 | 14 | 32:50 | 23 |
| სიტარდი | 25 | 6 | 5 | 14 | 22:40 | 23 |
| ჰელმონდი | 25 | 4 | 7 | 14 | 23:55 | 19 |
| ეინდჰოვენი | 25 | 4 | 6 | 15 | 31:58 | 18 |

სარბიელი და კრივი

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 7 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1.50 | 3.80 | 6.50 | 1.07 | 1.21 | 2.39 |
| 23:45 | 8 | ბოლტონი-ჩარლტონი 0:1 | 2.25 | 3.40 | 2.45 | | | |
| 23:45 | 10 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.28 | 4.80 | 11.00 | 1.01 | 1.14 | 3.34 |
| 23:45 | 11 | ჩელსი-ბლექბერნი 0:1 | 1.80 | 3.60 | 3.50 | | | |
| 23:45 | 12 | მანჩესტერი-უოტფორდი | 1.13 | 6.80 | 20.00 | 1.00 | 1.06 | 5.07 |
| 23:45 | 13 | მანჩესტერი-უოტფორდი 0:1 | 1.35 | 4.30 | 5.50 | | | |
| 23:45 | 14 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.10 | 3.30 | 3.35 | 1.28 | 1.29 | 1.66 |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 16:45 | 15 | ლივერპული-ევერტონი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 19:00 | 16 | ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 1.95 | 3.30 | 3.80 | 1.22 | 1.28 | 1.76 |
| 19:00 | 17 | ბლექბერნი-შეფილდი | 1.70 | 3.40 | 5.10 | 1.13 | 1.27 | 2.03 |
| 19:00 | 18 | ჩარლტონი-ჩელსი | 8.50 | 4.30 | 1.37 | 2.85 | 1.17 | 1.03 |
| 19:00 | 20 | ფულემი-ნიუკასლი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 19:00 | 21 | სიტი-რედინგი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 19:00 | 22 | უოტფორდი-ბოლტონი | 3.60 | 3.30 | 2.00 | 1.72 | 1.28 | 1.24 |
| 19:00 | 24 | უიგანი-პორტსმუთი | 2.75 | 3.20 | 2.50 | 1.47 | 1.30 | 1.40 |
| 21:15 | 25 | მიდლსბრო-არსენალი | 4.40 | 3.30 | 1.80 | 1.88 | 1.27 | 1.16 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 27 | ტოტენჰემი-მანჩესტერი | 4.00 | 3.30 | 1.90 | 1.80 | 1.28 | 1.20 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 39 | ვესტ ბრომვიჩი-პლიმუთი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 23:45 | 40 | საუთჰემპტონი-უენსდი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 53 | კარლაილი-ნოტინგემი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 23:45 | 54 | ბრისტოლი-ჩელტენემი | 1.45 | 3.70 | 6.70 | 1.04 | 1.19 | 2.38 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 109 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 23:00 | 112 | ჰანოვერი-ჰერტა | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 23:00 | 113 | ლევერკუზენი-ვერდერი | 2.90 | 3.30 | 2.30 | 1.54 | 1.28 | 1.35 |
| 23:00 | 115 | მაინცი-დორტმუნდი | 2.90 | 3.30 | 2.25 | 1.54 | 1.26 | 1.33 |
| 23:00 | 116 | შალკე-ალემანია | 1.30 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.10 |
| 23:00 | 117 | შალკე-ალემანია 0:1 | 1.80 | 3.60 | 3.10 | | | |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 139 | რეჯინა-მესინა | 1.85 | 3.00 | 4.70 | 1.14 | 1.32 | 1.83 |
| 23:30 | 140 | ლივორნო-კალიარი | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 141 | ასკოლი-მილანი | 7.50 | 3.70 | 1.46 | 2.47 | 1.22 | 1.04 |
| 18:00 | 143 | კატანია-პალერმო | 2.60 | 3.00 | 2.70 | 1.39 | 1.32 | 1.42 |
| 18:00 | 144 | ემპოლი-ატალანტა | 2.35 | 3.00 | 3.10 | 1.31 | 1.33 | 1.52 |
| 18:00 | 145 | ლაციო-კიევო | 1.65 | 3.20 | 6.00 | 1.08 | 1.29 | 2.08 |
| 18:00 | 146 | პარმა-ფიორენტინა | 3.40 | 3.00 | 2.15 | 1.59 | 1.31 | 1.25 |
| 18:00 | 147 | სიენა-ტორინო | 2.10 | 2.90 | 3.90 | 1.21 | 1.36 | 1.66 |
| 18:00 | 148 | უდინეზე-სამპდორია | 2.00 | 3.00 | 3.80 | 1.20 | 1.31 | 1.67 |
| 23:30 | 149 | ინტერი-რომა | 1.85 | 3.10 | 4.30 | 1.15 | 1.29 | 1.80 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 181 | ბილბაო-ბეტისი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 21:00 | 182 | სელტა-ტარაგონა | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 21:00 | 183 | ესპანიოლი-სარაგოსა | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 21:00 | 184 | დეპორტივო-მალიორკა | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 21:00 | 185 | ოსასუნა-ბარსელონა | 4.40 | 3.50 | 1.70 | 1.94 | 1.22 | 1.14 |
| 21:00 | 187 | რეალი-ლევანტე | 1.22 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.77 |
| 21:00 | 189 | უელვა-ვილიარეალი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 21:00 | 190 | რასინგი-ხეტაფე | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 21:00 | 191 | სევილია-სოსიედადი | 1.30 | 4.60 | 9.50 | 1.01 | 1.14 | 3.09 |
| 21:00 | 193 | ვალენსია-ატლეტიკო | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 20:10 | 205 | ლილი-ნანტი | 1.55 | 3.50 | 6.50 | 1.07 | 1.25 | 2.27 |
| 20:10 | 206 | ლილი-ნანტი 0:1 | 1.00 | | | | | |
| 23:00 | 207 | ლორიანი-ლე მანი | 2.15 | 3.00 | 3.50 | 1.25 | 1.33 | 1.61 |
| 23:00 | 210 | მონაკო-ოსერი | 1.95 | 3.10 | 4.10 | 1.19 | 1.32 | 1.76 |
| 23:00 | 211 | ნანსი-ტულუზი | 2.10 | 3.00 | 3.70 | 1.23 | 1.33 | 1.65 |
| 23:00 | 212 | ნიცა-ბორდო | 2.65 | 3.00 | 2.70 | 1.40 | 1.33 | 1.42 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 214 | სოშო-რენი | 2.00 | 3.00 | 4.00 | 1.20 | 1.33 | 1.71 |
| 23:00 | 215 | სტ-ეტიენი-სედანი | 1.50 | 3.70 | 6.70 | 1.06 | 1.22 | 2.38 |
| 23:00 | 218 | ვალენსიენი-ლანსი | 3.00 | 2.90 | 2.40 | 1.47 | 1.33 | 1.31 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 208 | მარსელი-პსჟ | 1.85 | 3.00 | 4.70 | 1.14 | 1.32 | 1.83 |
| 23:45 | 209 | მარსელი-პსჟ 0:1 | 1.00 | | | | | |
| 21:00 | 216 | ტრუა-ლიონი | 6.70 | 3.50 | 1.55 | 2.29 | 1.25 | 1.07 |
| 21:00 | 217 | ტრუა-ლიონი 1:0 | 1.00 | | | | | |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 230 | ბევერენი-ბრიუგე | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 232 | გენტი-ლოკერენი | 1.50 | 3.80 | 6.20 | 1.07 | 1.20 | 2.35 |
| 23:00 | 234 | ანდერლეხტი-ვესტერლო | 1.25 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.19 |
| 23:00 | 235 | სერკლი-შარლერუა | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 23:00 | 236 | ლიერსი-ვარეგემი | 2.55 | 3.30 | 2.50 | 1.43 | 1.26 | 1.42 |
| 23:00 | 238 | მონსი-ბეერსხოტი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 23:00 | 239 | რუზელარე-მუსკრონი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 23:00 | 240 | სტ-ტრუიდენი-ბრიუსელი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 241 | სტანდარდი-გენკი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 2 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 281 | ბენფიკა-ბოავიშტა | 1.37 | 4.30 | 7.00 | 1.03 | 1.14 | 2.66 |
| 23:45 | 282 | ბენფიკა-ბოავიშტა 0:1 | 1.00 | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 23:15 | 276 | პორტუ-ამადორა | 1.25 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.42 |
| 23:15 | 277 | პორტუ-ამადორა 0:1 | 1.00 | | | | | |
| 23:45 | 279 | სპორტინგი-ნასიონალი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 23:45 | 280 | სპორტინგი-ნასიონალი 0:1 | 1.00 | | | | | |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 272 | ბეირა მარი-ლეირია | 3.30 | 3.10 | 2.15 | 1.59 | 1.30 | 1.26 |
| 23:45 | 273 | ბრაგა-ავეში | 1.37 | 4.30 | 7.00 | 1.03 | 1.14 | 2.66 |
| 20:00 | 274 | მარიტიმუ-ფერეირა | 1.95 | 3.10 | 3.80 | 1.19 | 1.28 | 1.70 |
| 20:00 | 275 | ნავალი-აკადემიკა | 1.67 | 3.55 | 4.60 | 1.13 | 1.22 | 2.00 |
| 20:00 | 278 | სეტუბალი-ბელენენსეში | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 3 თებერვალი | | | | | | |
| 18:45 | 291 | ირაკლისი-ატრომიტოსი | 1.65 | 3.20 | 5.20 | 1.08 | 1.25 | 1.98 |
| 21:00 | 292 | პაოკ-პანათინაიკოსი | 2.80 | 2.90 | 2.45 | 1.42 | 1.30 | 1.32 |
| | | 4 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 293 | კერკირა-ეგალეო | 1.90 | 3.10 | 3.90 | 1.17 | 1.27 | 1.72 |
| 17:00 | 294 | ოლიმპია-იონიკოსი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 18:45 | 296 | ოფი-ერგოტელისი | 1.70 | 3.20 | 5.00 | 1.11 | 1.26 | 1.95 |
| 21:00 | 297 | აეკ-ოლიმპიაკოსი | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| 21:00 | 298 | არისი-ქსანთი | 1.90 | 3.10 | 4.00 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| | | არგენტინა | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 321 | რასინგი-სან ლორენსო | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 322 | ბოკა ხუნიორსი-რივერ პლეიტი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| | | ინგლისი. Carling Cup | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 564 | არსენალი-ტოტენჰემი | 1.75 | 3.40 | 4.60 | 1.15 | 1.26 | 1.95 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 347 | ბარსელონა-სარაგოსა | 1.40 | 4.10 | 7.50 | 1.04 | 1.17 | 2.65 |
| 23:00 | 348 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 23:00 | 349 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1.55 | 3.50 | 5.80 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 350 | სევილია-ბეტისი | 1.60 | 3.50 | 5.60 | 1.09 | 1.24 | 2.15 |
| | | საფრანგეთი. თასი | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 21:15 | 364 | ნანტი-ლილი | 2.90 | 2.90 | 2.40 | 1.45 | 1.31 | 1.31 |
| 22:00 | 365 | კლერმონი-ლანსი | 5.75 | 3.50 | 1.55 | 2.17 | 1.22 | 1.07 |
| 23:45 | 366 | მარსელი-ლიონი | 2.90 | 2.90 | 2.40 | 1.45 | 1.31 | 1.31 |
| 22:00 | 367 | მონსო-ბორდო | 9.00 | 4.20 | 1.30 | 2.86 | 1.13 | 1.00 |
| | | საბერძნეთი. თასი | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 18:00 | 351 | ოლიმპია-კერკირა | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:45 | 352 | ოლიმპიაკოსი-გიანინა | 1.10 | 7.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 5.00 |
| 23:45 | 353 | პანათინაიკოსი-პაოკ | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 18:00 | 570 | ქსანთი-ილისიაკოსი | 1.40 | 3.70 | 7.30 | 1.01 | 1.17 | 2.45 |
| | | თურქეთი. თასი | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 16:00 | 567 | ტრაბზონი-ვანსპორი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 22:00 | 568 | ბეშიქთაში-მანისა | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 22:00 | 569 | კაისერი-გალათასარაი | 6.00 | 3.50 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |
| | | შოტლანდია.თასი | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 345 | სტ.ჯონსტონი-პიბერნიანი | 5.70 | 3.60 | 1.55 | 2.20 | 1.21 | 1.08 |
| | | იტალია. თასი | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 565 | რომა-მილანი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 346 | ინტერი-სამპდორია | 1.32 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.15 | 2.90 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 356 | ბლუმინგი-სანტოსი | 3.55 | 3.20 | 1.90 | 1.68 | 1.23 | 1.19 |
| 23:45 | 357 | სპორტინგ კრისტალი-ამერიკა | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 358 | კობრელოა-პარანა | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| | | ჰოკეი.NHL | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 415 | რეინჯერსი-ტორონტო | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| 23:45 | 416 | ედმონტონი-კოლამბუსი | 1.80 | 4.00 | 2.50 | 1.24 | 1.04 | 1.53 |
| 23:45 | 417 | ანაჰაიმი-ფენიქსი | 1.60 | 4.20 | 3.10 | 1.15 | 1.05 | 1.78 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 524 | ინგოლშტადი-ნიურნბერგი | 1.85 | 4.30 | 2.70 | 1.29 | 1.09 | 1.65 |
| | | 2 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 525 | დიუსელდორფი-დუისბურგი | 1.20 | 5.50 | 7.00 | 1.00 | 1.02 | 3.07 |
| 22:30 | 526 | ჰანოვერი-კიოლნი | 2.10 | 4.20 | 2.30 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 22:30 | 527 | აისბარენი-ჰამბურგი | 2.05 | 4.30 | 2.35 | 1.38 | 1.09 | 1.51 |
| 22:30 | 528 | ფრანკფურტი-სტრაუბინგი | 1.42 | 4.60 | 4.60 | 1.08 | 1.08 | 2.29 |
| 22:30 | 529 | კრეფელდი-აუგსბურგი | 1.50 | 4.30 | 4.20 | 1.11 | 1.10 | 2.12 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 530 | იზერლონი-მანჰაიმი | 2.60 | 4.30 | 1.90 | 1.62 | 1.09 | 1.31 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 2 თებერვალი | | | | | | |
| 22:45 | 533 | სერვეტი-ბაზელი | 1.45 | 4.50 | 4.60 | 1.09 | 1.10 | 2.27 |
| 22:45 | 534 | ცუგი-ბერნი | 2.10 | 4.30 | 2.30 | 1.41 | 1.09 | [illegible] |
| 22:45 | 535 | ფრიბურგი-რაპერსვილი | 2.20 | 4.20 | 2.15 | 1.44 | 1.08 | 1.42 |
| | | კალათბურთი. NBA | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 613 | ორლანდო-მილუოკი | 1.40 | 12.00 | 2.80 | 1.25 | 1.00 | 2.27 |
| 23:45 | 614 | ატლანტა-გოლდენ სტეიტი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 23:45 | 615 | შარლოტი-ნიუ იორკი | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 23:45 | 616 | ტორონტო-ვაშინგტონი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 23:45 | 617 | ნიუ ჯერსი-დეტროიტი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 23:45 | 618 | ბოსტონი-ლეიკერსი | 2.30 | 12.00 | 1.50 | 1.93 | 1.00 | 1.33 |
| 23:45 | 619 | მემფისი-დალასი | 2.80 | 12.00 | 1.30 | 2.27 | 1.00 | 1.17 |
| 23:45 | 620 | ნიუ ორლეანი-ფილადელფია | 1.45 | 12.00 | 2.20 | 1.29 | 1.00 | 1.85 |
| 23:45 | 621 | ჰიუსტონი-სიეტლი | 1.25 | 12.00 | 3.00 | 1.13 | 1.00 | 2.40 |
| 23:45 | 622 | მინესოტა-საკრამენტო | 1.40 | 12.00 | 2.50 | 1.25 | 1.00 | 2.06 |
| 23:45 | 623 | იუტა-სან ანტონიო | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| 23:45 | 624 | პორტლენდი-დენვერი | 1.90 | 12.00 | 1.70 | 1.64 | 1.00 | 1.48 |
| 23:45 | 625 | კლიპერსი-ჩიკაგო | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 22:45 | 669 | ნაპოლი-ბენეტონი | 1.25 | 12.00 | 3.00 | 1.13 | 1.00 | 2.40 |
| 22:45 | 670 | არისი-ბარსელონა | 1.45 | 12.00 | 2.35 | 1.29 | 1.00 | 1.96 |
| 22:45 | 671 | ცსკა-ულქერი | 1.05 | 12.00 | 7.50 | 1.00 | 1.00 | 4.61 |
| 22:45 | 672 | ორტეზი-ჟალგირისი | 1.25 | 12.00 | 3.80 | 1.13 | 1.00 | 2.88 |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 23:15 | 673 | ეფესი-დინამო | 1.60 | 12.00 | 2.10 | 1.41 | 1.00 | 1.78 |
| 23:15 | 674 | მაკაბი-პანათინაიკოსი | 1.65 | 12.00 | 2.10 | 1.45 | 1.00 | 1.78 |
| 23:15 | 675 | ოლიმპიაკოსი-ენერგია | 1.03 | 12.00 | 7.50 | 1.00 | 1.00 | 4.61 |
| 23:15 | 676 | პარტიზანი-უნიკახა | 1.50 | 12.00 | 2.30 | 1.33 | 1.00 | 1.93 |
| 23:15 | 677 | ტაუ-ლე მანი | 1.08 | 12.00 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 23:15 | 678 | ხუვენტუდი-ოლიმპია | 1.12 | 12.00 | 5.00 | 1.02 | 1.00 | 3.52 |
| 23:15 | 679 | რომა-ციბონა | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| 23:15 | 680 | პროკომი-ბოლონია | 1.50 | 12.00 | 2.25 | 1.33 | 1.00 | 1.89 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10007 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1.90 | 2.30 | 6.30 | 1.04 | 1.45 | 1.68 |
| 10010 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.60 | 2.60 | 8.00 | 1.00 | 1.33 | 1.96 |
| 10012 | მანჩესტერი-უოტფორდი | 1.37 | 3.20 | 12.00 | 1.00 | 1.22 | 2.52 |
| 10014 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.55 | 2.00 | 4.00 | 1.12 | 1.55 | 1.33 |
| 10109 | ჰამბურგი-კოტბუსი | 2.25 | 2.10 | 4.80 | 1.08 | 1.53 | 1.46 |
| 10112 | ჰანოვერი-ჰერტა | 2.95 | 2.00 | 3.10 | 1.19 | 1.51 | 1.21 |
| 10113 | ლევერკუზენი-ვერდერი | 3.40 | 2.00 | 2.75 | 1.25 | 1.52 | 1.15 |
| 10115 | მაინცი-დორტმუნდი | 3.35 | 2.00 | 2.75 | 1.25 | 1.51 | 1.15 |
| 10116 | შალკე-ალემანია | 1.60 | 2.60 | 8.00 | 1.00 | 1.33 | 1.96 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11007 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1.90 | 15.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11010 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.55 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11014 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11109 | ჰამბურგი-კოტბუსი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11112 | ჰანოვერი-ჰერტა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11113 | ლევერკუზენი-ვერდერი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11115 | მაინცი-დორტმუნდი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11116 | შალკე-ალემანია | 1.70 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12007 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 12012 | მანჩესტერი-უოტფორდი | 2.10 | 1.55 |
| 12014 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 12109 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1.70 | 1.90 |
| 12112 | ჰანოვერი-ჰერტა | 1.90 | 1.70 |
| 12113 | ლევერკუზენი-ვერდერი | 2.20 | 1.50 |
| 12115 | მაინცი-დორტმუნდი | 1.70 | 1.90 |
| 12116 | შალკე-ალემანია | 2.20 | 1.55 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13007 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 13012 | მანჩესტერი-უოტფორდი | 2.20 | 1.50 |
| 13014 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13109 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1.70 | 1.90 |
| 13112 | ჰანოვერი-ჰერტა | 1.60 | 2.00 |
| 13113 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13115 | მაინცი-დორტმუნდი | 1.60 | 2.00 |
| 13116 | შალკე-ალემანია | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14007 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1.25 | 2.50 |
| 14010 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.04 | 2.60 |
| 14014 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.75 | 2.10 |
| 14109 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1.60 | 2.30 |
| 14112 | ჰანოვერი-ჰერტა | 1.90 | 1.90 |
| 14113 | ლევერკუზენი-ვერდერი | 2.00 | 1.80 |
| 14115 | მაინცი-დორტმუნდი | 2.00 | 1.80 |
| 14116 | შალკე-ალემანია | 1.07 | 2.90 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15007 | ბოლტონი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ჩელსი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | მანჩესტერი-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15109 | ჰამბურგი-კოტბუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15112 | ჰანოვერი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15113 | ლევერკუზენი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15115 | მაინცი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15116 | შალკე-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე
(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16007 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1.10 | 4.80 |
| 16010 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.03 | 8.00 |
| 16014 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.47 | 2.35 |
| 16109 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1.26 | 3.20 |
| 16112 | ჰანოვერი-ჰერტა | 1.80 | 1.80 |
| 16113 | ლევერკუზენი-ვერდერი | 2.10 | 1.60 |
| 16115 | მაინცი-დორტმუნდი | 2.10 | 1.60 |
| 16116 | შალკე-ალემანია | 1.03 | 7.50 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17007 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | მანჩესტერი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17109 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17112 | ჰანოვერი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17113 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17115 | მაინცი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17116 | შალკე-ალემანია | 1.85 | 1.95 |

### კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 20007 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 20010 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 20012 | მანჩესტერი-უოტფორდი | 1.90 | 1.70 |
| 20014 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |

### იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 21007 | ბოლტონი-ჩარლტონი | 2.80 | 1.20 |
| 21010 | ჩელსი-ბლექბერნი | 2.80 | 1.20 |
| 21012 | მანჩესტერი-უოტფორდი | 2.80 | 1.20 |
| 21014 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.80 | 1.20 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ქართული ლეგიონი

## ელისმა ნეაპოლი სტამბოლში გაახარა

**გასული** კვირის გმირი ტაირონ ელისია, რომელმაც ევროლიგაში „ნაპოლის“ პირადად მოაგებინა და ჯგუფიდან გასვლის შანსები გაუმყარა. თურქეთში გამარჯვებას ნეაპოლელთათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და ახლა ბოლო ტურში რომც დამარცხდნენ, შესაძლოა, ევროლიგის 16 საუკეთესოს შორის მაინც მოხვდნენ.

საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა სტამბოლში „ფენერბაჰჩეს“ 29 ქულა ჩაუგდო, 6 ბურთი მოუხსნა და ზედ 5 მოხსნაც დააყოლა. „ნაპოლიმ“ კი დაძაბულ ბრძოლაში 93:88 იმარჯვა.

ელისმა თავი ისახელა იტალიის ჩემპიონატშიც, მაგრამ მისი 13 ქულა საკმარისი არ აღმოჩნდა, „ნაპოლის“, ტრევიზოში „ბენეტონი“ რომ დაემარცხებინა.

არანაკლებ იყოჩაღა მანუჩარ მარკოიშვილმა, ვისი სტაბილური თამაში აღარ გვიკვირს. მანუმ უკვე დაიმსახურა „ოლიმპიაში“ ერთ-ერთი ლიდერის სტატუსი და ყოველ მატჩში ლიუბლიანელებს გვარიანად ეხმარება. გასულ კვირაში „ოლიმპიამ“ ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვა, თუმც „მაკაბის“ დამარცხებას სათანადო ელფერი არ ჰქონია, რადგან ლიუბლიანელებს ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ აქვთ. ებრაელებს მანუჩარმა 13 ქულა ჩაუგდო 28 წუთში.

მანუ უფრო შედეგიანი იყო შაბათს ადრიატიკის ლიგაზე წაგებულ მატჩში — „ოლიმპიამ“ ბელგრადში „ჰემოფარმთან“ შეხვედრა 76:78 დათმო. ქართველმა უკანახაზელმა 11 ქულასთან ერთად 6 მოხსნა, 5 პასი და 4 ჩაჭრა მოინაგრა.

ესპანეთში ახლა ორი ქართველი გვყავს, რომლებიც დაახლოებით ერთნაირად წარმატებით თამაშობენ. ნიკა ცქიტიშვილმა „სან ფერნანდოშიც“ ვერ გაშალა ჯერ ფრთები, მას ცოტა ხნით ათამაშებენ და ჩვენიანიც ბევრი ვერაფრის გაკეთებას ასწრებს.

ცქიტიშვილმა „ალიკანტესთან“ წაგებულ მატჩში 9 წუთი ითამაშა და 2 ქულას დასჯერდა, თუმცა [illegible] კარგად იმუშავა [illegible] მორჩა. [illegible] და 4 მოხსნა მოაგროვა [illegible] ტესელმა ვიქტორ სანიკიძემ, [illegible] მან ამის გაკეთებას უფრო მცირე დრო, 5 წუთი მოანდომა.

უკვე აღარაა დაფარული, რომ ზაზა ფაჩულიამ „ატლანტას“ ხუთეულში ადგილი დაკარგა. თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას აღარ ენდობიან. ზაზა ხუთეულში ცენტრად გამოჯგიმულ ლორენც რაიტზე მეტს და შედეგიანად კი თამაშობს, მაგრამ მისმა სტატისტიკამ ბოლო მატჩებში ცოტა იკლო.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ცინცაძე | როკი | ბალტიის ლიგა | კალევი | ს | 74:85 | 31 | 13 | 2 | 2 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა<br>ევროლიგა | ჰემოფარმი<br>მაკაბი | ს<br>შ | 76:78<br>77:75 | 35<br>36 | 11<br>13 | 6<br>1 | 5<br>3 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | კლიმამიო | ს | 85:81 | 6 | 3 | 1 | 0 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | ევროთასი<br>საფრანგეთის ჩემპიონატი | კალევი<br>შალონი | ს<br>შ | 75:74<br>77:84 | 23<br>20 | 4<br>9 | 1<br>5 | 2<br>1 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესტუდიანტესი | ევროთასი<br>ესპანეთის ჩემპიონატი | ლიეჟი<br>ხუვენტუდი | შ<br>შ | 93:81<br>75:83 | 14<br>5 | 4<br>2 | 2<br>4 | 2<br>0 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | სან ფერნანდო | ესპანეთის ჩემპიონატი | ალიკანტე | შ | 71:79 | 9 | 2 | 5 | 0 |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის I ლიგა | კლაიპედა | ს | 74:92 | 36 | 7 | 14 | 2 |
| ტაირონ ელისი | ნაპოლი | ევროლიგა<br>სერია A | ფენერბაჰჩე<br>ბენეტონი | ს<br>ს | 93:88<br>64:74 | 37<br>28 | 29<br>13 | 6<br>3 | 5<br>0 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგ. ჩემპიონატი | ჩიკაგო<br>ბოსტონი<br>ორლანდო<br>ფილადელფია | ს<br>ს<br>ს<br>შ | 86:94<br>76:82<br>93:90<br>89:104 | 27<br>28<br>23<br>26 | 6<br>10<br>6<br>7 | 12<br>9<br>6<br>9 | 2<br>1<br>3<br>0 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური



ტაირონ ელისი ქომაგების ალყაში

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## ზაზას ზუზუნი არავის ესმის

29 იანვარი

**ატლანტა 93:83 ორლანდო**

ატლანტა: ლუ (13), ჯონსონი (34), მ. უილიამსი (12), სმიტი (19 ქულა, 12 მოხსნა), რაიტი (2); შ. უილიამსი (6), ფაჩულია (22 წუთი, 3 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა), ჩილდრესი (2), აივი (2), ჯონსი, სტუდემაიერი

ორლანდო: ნელსონი (16), თურქოღლუ (9), ჰილი (21), ბათი (2), ჰოვარდი, (15); მილიჩიჩი (9), აროიო (6), ბოგანსი (3), რედიკი (2), აუთლოო, დინერი

**მინესოტა 121:112 ფინიქსი**

მინესოტა: გარნეტი (44 ქულა, 11 მოხსნა), დევისი (17)

ფინიქსი: ბელი (26), მერიონი (20 ქულა, 10 მოხსნა), ნეში (20 ქულა, 18 პასი), ბარბოსა (17)

**დენვერი 101:105 შარლოტი**

დენვერი: აივერსონი (31 ქულა, 8 პასი, 4 ჩაჭრა), ენტონი (25)

შარლოტი: ვოლესი (25 ქულა, 13 მოხსნა), ოკაფორი (18 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება), ფელტონი (16 ქულა, 11 პასი)

**ჰიუსტონი 105:84 ფილადელფია**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (25), ჰოვარდი (20 ქულა, 10 მოხსნა)

ფილადელფია: იგუდალა (19), კორვერი (16)

**ნიუ ორლეანი 103:91 პორტლენდი**

ნიუ ორლეანი: ვესტი (21 ქულა, 10 მოხსნა), მეისონი (16), პარგო (16)

პორტლენდი: რენდოლფი (20 ქულა, 13 მოხსნა), როი (19)

**მემფისი 124:117 საკრამენტო**

მემფისი: გასოლი (34), მილერი (27), ეტკინსი (22)

საკრამენტო: ბიბი (23), მარტინი (22), არტესტი (21)

**იუტა 115:116 ნიუ ჯერსი**

იუტა: უილიამსი (25), ოქური (18 ქულა, 11 მოხსნა), ფიშერი (16)

ნიუ ჯერსი: კარტერი (33), კიდი (22 ქულა, 10 პასი), ჰაუსი (19)

ზაზა ფაჩულიას მატჩიდან მატჩამდე უფრო და უფრო უჭირს სათადარიგოთა სკამიდან წამოდგომა და თამაშში ჩართვა. დამწყები ხუთეულიდან ამოვარდნა მასზე შკარად ცუდ გავლენას ახდენს და მკვლელ ინსტინქტს უჩლუნგებს, მწვრთნელი მაიკ ვუდსონი კი საკმარის „გონებაგახსნილობას“ იჩენს და თავისი საუკეთესო მეფარის ძირითადში დაბრუნებას არ ჩქარობს. ამასობაში ფაჩულიას შედეგიანობა სულ დაეცა. „ორლანდოსთან“ მან 22 წუთში 3 ქულა შეაკოწიწა.

„ატლანტამ“ კი პრაქტიკულად უცენტროდ მოუგო „ორლანდოს“, რომლისთვისაც წლეულს ნამდვილ რისხვად ქცეულა — ოთხი შეხვედრიდან მესამედ დაამარცხა. ფლორიდელებს კვლავ დაუძლეველ ბარიერად ექცათ ჯორჯიელთა ლიდერი ჯო ჯონსონი. მან წინა ორ მოგებულ თამაშში 31 და 39 გააკეთა და ახლა მეორე ტაიმიდან რომ დაიწყო მეტოქის დაცვის დაწიოკება, ორლანდოელებს მუხლებში შიში ჩაუდგათ. ჯონსონმა დიდი შესვენების შემდეგ 22 ქულა მოირეწა და ვუდსონს ათქმევინა, ეს ბიჭი ცხოვრებას გვიიოლებსო. ცხადია, გააიოლებს, როცა ბევრის გასაკეთებელს მარტოდმარტო აკეთებს.

ატლანტადან ორი ათასი კილომეტრის მოშორებით, უსიერი ტყეებით შემოჯარულ მინეაპოლისში იქაურმა „მგლებმა“ თვით „ფინიქსი“ წამოაქციეს, რომლის ძლევა 25 დეკემბრის აქეთ ზედიზედ 17 თამაშში ვერავის მოეხერხებინა. „ფინიქსმა“ ტრადიციულად კარგად ითამაშა, მისმა ლიდერებმა — სტივ ნეშმა და შონ მერიონმა არანაკლები ქულა-მოხსნები იხვეჭეს, ვიდრე წინა შეხვედრებში და სხვებსაც არა უშავდათ. „ფინიქსიც“ თითქოს გეგმაზომიერად მიდიოდა მორიგი გამარჯვებისკენ, მაგრამ არიზონელებმა აშკარად ჩააფლავეს ბოლო მეოთხედი — 17:27 დათმეს, რომელშიც ნეშმა მხოლოდ 2 ქულა და 1 პასი გააკეთა. და კიდევ: „მინესოტას“ ლიდერმა კევინ გარნეტმა კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა — „ფინიქსს“ 44 ქულა ჩაუკალათა.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 22 | 23 | 48,9 |
| ტორონტო | 22 | 23 | 48,9 |
| ნიუ იორკი | 19 | 27 | 41,3 |
| ფილადელფია | 14 | 32 | 30,4 |
| ბოსტონი | 12 | 31 | 27,9 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 25 | 17 | 59,5 |
| ჩიკაგო | 26 | 19 | 57,8 |
| კლივლენდი | 25 | 19 | 56,8 |
| ინდიანა | 23 | 21 | 52,3 |
| მილუოკი | 18 | 26 | 40,9 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ვაშინგტონი | 26 | 17 | 60,5 |
| ორლანდო | 23 | 22 | 51,1 |
| მაიამი | 19 | 25 | 43,2 |
| ატლანტა | 16 | 27 | 37,2 |
| შარლოტი | 16 | 28 | 36,4 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 36 | 9 | 80,0 |
| სან ანტონიო | 32 | 14 | 69,6 |
| ჰიუსტონი | 28 | 16 | 63,6 |
| ნიუ ორლეანი | 19 | 25 | 43,2 |
| მემფისი | 12 | 34 | 26,1 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 29 | 17 | 63,0 |
| დენვერი | 22 | 20 | 52,4 |
| მინესოტა | 22 | 22 | 50,0 |
| პორტლენდი | 19 | 27 | 41,3 |
| სიეტლი | 17 | 27 | 38,6 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 36 | 9 | 80,0 |
| ლეიკერსი | 27 | 17 | 61,4 |
| კლიპერსი | 22 | 22 | 50,0 |
| გოლდენ სტეიტი | 21 | 23 | 47,7 |
| საკრამენტო | 17 | 26 | 39,5 |

# კვირის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი

**ბენ გორდონი (ჩიკაგო)**

### დასავლეთი

**სტივ ნეში (ფინიქსი)**



სტივ ნეში, აგერ ზედიზედ მეორედ, მიმდინარე სეზონში მესამედ, კარიერაში კი მერვედ დასახელდა კვირის მოთამაშედ, რაც მოულოდნელ აღიარებად არავის აღუქვამს. მისმა „ფინიქსმა“ 22-28 იანვარს გამართული ოთხივე თამაში მოიგო, ამასთან, ოთხივე სტუმრად, რაშიც კანადელმა სუპერგამთამაშებელმა საშუალოდ 22,5-ქულიანი და 14,8-პასიანი წვლილი შეიტანა.




ეს დასავლეთში, აღმოსავლეთს კი შედარებით ნაკლებად კაშკაშა რჩეული ჰყავს. „ჩიკაგო ბულზის“ მესამეწლიანი მსროლელი ბენ გორდონი პირველად იღებს ამ მომცრო ტიტულს. გორდონმა გასულ შვიდ დღეში თავის გუნდს ოთხ თამაშში 26,8 ქულა, 4,3 მოხსნა და 4,8 პასი მიაშველა და სამი მათგანი მოაგებინა.

კვირის სიმბოლური ხუთეული: სტივ ნეში (ფინიქსი), ბენ გორდონი (ჩიკაგო), შონ მერიონი (ფინიქსი), დირკ ნოვიცკი (დალასი), ტიმ დანკანი (სან ანტონიო)

# იუბილე: ილარიონ (ლარიკ) ხაზარაძე – 70

# სიტყვა სპორტზე და კაცზე

**არჩილ გოგელია**

**წარსულს** ერთი თვისება აქვს: იგი ნებისმიერ ადამიანში ნოსტალგიას იწვევს. ცუდი გვავიწყდება, კარგი კი სამუდამოდ გვრჩება მეხსიერებაში. გვინდა თუ არა, წარსულს მუდამ ვაიდეალებთ, რადგან მისი სალაროდან მხოლოდ პოზიტიურს ვირჩევთ. მე შევეცდები, შეძლებისდაგვარად ობიექტური ვიყო და მაქსიმალურად ჩავიხშო შინაგანად ნოსტალგიისა და გაიდეალების ელემენტები. ეს ძალზე რთულია, წარმოუდგენლად რთული; მით უმეტეს, რომ იმ პერიოდში თავადაც აქტიური სპორტსმენი ვიყავი.

რაც თავი მახსოვს, კალათბურთი ფეხბურთთან ერთად ქართული ცნობიერებისა და გონის ერთ-ერთი მძლავრი კრიტერიუმი იყო. არაჩვეულებრივ საკალათბურთო სპექტაკლებთან ერთად სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში აზარტისგან თავბრუდახვეული მაყურებელი; მახსოვს, როგორ იშლებოდა ზღვარი კალათბურთელებსა და გულშემატკივრებს შორის, როგორ ერთიანდებოდა გუნდი და მაყურებელი და როგორ გადაეცემოდა მისტიკური ძალით დარბაზს ცეცხლოვანი ემოციები. ჩემი ღრმა რწმენით, სპორტმა ათეული წლების განმავლობაში გადაარჩინა ქართული ცნობიერება კოსმოპოლიტიზმისგან. ქართულმა სიტყვამ და სპორტმა. თუმცა, ნუ დავუპირისპირებთ მათ ერთმანეთს, ნურც მეტოქეობას გავაჩენთ მათ შორის. თითოეული მათგანი, ქართულ ფოლკლორთან ერთად, პატრიოტული ლოკომოტივის ფუნქციას ასრულებდა.

შევეცდები ალვადგინო ქართული კალათბურთის ისტორიის რომანტიკული პერიოდი მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ლარიკ (ილარიონ) ხაზარაძის სახით. თუმც ხაზარაძეს თამაში მოუწია ქართული კალათბურთის რამდენიმე თაობის ვარსკვლავებთან ერთად, მაგრამ მათ ფონზეც კი არ დაკარგულა და არ გაფერმკრთალებულა მისი სპორტული კარიერა.

ახლა მოდაშია სიტყვა რეფორმატორი. მაშინ ამაზე არც მიფიქრია, მაგრამ დღევანდელი თვალთახედვით ხაზარაძის თაობას კალათბურთის რეფორმატორთა წოდება მოუხდებოდა. ეს ის პერიოდია, როცა კალათბურთს ტოვებენ გოგანტები, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით — ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია... მათ ადგილს კი იკავებს ქართული კალათბურთის ახალი ლეგიონი, რომელსაც განგება დააკისრებს და ალასრულებინებს დღემდე მიუღწეველი მწვერვალის დაპყრობას — ევროპის ჩემპიონთა თასის მოგებას 1962 წელს, სამი წლით ადრე კი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედლების მოპოვებას. ამ განუმეორებელი წარმატების ფონზე ვერცხლის მედლები შედარებით მწირ მონაპოვრად შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ რატომ დარჩა 1959 წლის სპარტაკიადის ეს მონაპოვარი ლეგენდად, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.



**ილარიონ ხაზარაძე**

დაიბადა 1937 წლის 31 იანვარს თბილისში. კალათბურთის თამაში დაიწყო 1948 წელს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სპორტულ სკოლაში მწვრთნელ თამარ გეგელაშვილთან. 1955-65 წლებში გამოდიოდა თბილისის „დინამოში".

საბჭოთა კავშირის (1960, 1961) ვერცხლის მედალოსანი, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ვიცეჩემპიონი (1959) და მესამე პრიზიორი (1956). ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული (1962). თბილისის ნაკრების შემადგენლობაში „ქალაქთა ტურნირში" გამარჯვებული (1959).

„დინამოს" საერთაშორისო ტურნირებისა და საქართველოს პირველობის მრავალგზის ჩემპიონი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1960).

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ლარიკა ხაზარაძის კარიერა ქართული კალათბურთის ამ ზღაპრულ მერიდიანებზე გადიოდა. თავის გუნდთან, თბილისის „დინამოსთან" და საქართველოს ნაკრებთან ერთად იგი დიდ და მცირე სასწაულებს სჩადიოდა. ხაზარაძე იყო მოთამაშეც და მებრძოლიც.

იმხანად სპორტში არ არსებობდა ისეთი რთული რეიტინგები და გრადაციები, როგორც დღეს არის, მაგრამ უკვე მაშინ მიმომხილველები და სპეციალისტები პირობითად ყოფდნენ სპორტსმენებს მათი გამოკვეთილი თვისებების და დამსახურების მიხედვით. ნომინაციაში „სასარგებლო" ყოველთვის ხვდებოდა ლარიკა ხაზარაძე. სასარგებლო მოთამაშე, რომელსაც ნებისმიერ მატჩში მაქსიმალური სარგებელი მოჰქონდა გუნდისათვის არა მარტო შედეგიანობის, არამედ წრესგადასული აზარტისა და ბრძოლის ჟინით. ახლაც თვალწინ მიდგას ორმეტრიანი კალათბურთელის თამაში, რომელსაც წამითაც არ აკლდებოდა ენთუზიაზმი. ეს იყო ტარანი, ტიპიური ცენტრი, ოღონდ არა სწორხაზოვანი, არამედ ფანტაზიით აღსავსე. საჭიროების შემთხვევაში იგი ერთდროულად ასრულებდა ცენტრის, თავდამსხმელის და დამცველის მოვალეობასაც კი. ხაზარაძემ კალათბურთში შემოიტანა უნივერსალური მოთამაშის ელემენტები. შესაძლოა, მისი ყველაზე გამორჩეული ღირსება სწორედ ეს იყო. კიდევ ერთი ძალზე ნიშანდობლივი შტრიხი: გამოცდილებით ვიცი, რომ სპორტსმენის თამაშის ხარისხი მუდამ არ არის ერთნაირი. ამაში გასაკვირი არაფერია: არსებობს უამრავი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი, რომელიც სპორტსმენს სრული ძალით თამაშის საშუალებას არ აძლევს. მაგრამ ნამდვილი პროფესიონალები იმით გამოირჩევიან, რომ უჩინარ ზღვარზე ქვემოთ არასოდეს ასპარეზობენ. ამას ისინი აღწევენ ძვალსა და რბილში გამჯდარი კლასით და... უდიდესი მონდომებით. ლარიკა ხაზარაძე სწორედ ამ ტიპის პროფესიონალს განასახიერებდა მუდამ, ამ საფირმო ნიშნით ბრწყინავდა თბილისის „დინამოსა" და სამოყვარულო კალათბურთში იმხანად მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში.

რაც შეეხება ევროპულ დონეს, ქართულ კალათბურთს არასდროს რგებია ისეთი დიდი გამარჯვება, როგორიც წილად ხვდა ჟენევაში გამართულ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში მადრიდის „რეალთან". ეს იყო შეხვედრა ევროპის უძლიერეს და ტიტულოვან კლუბთან, რომელიც მაშინაც კალათბურთის ლეგენდად იწოდებოდა. ლარიკა ხაზარაძისთვის ჟენევის მატჩს მხოლოდ სპორტული მნიშვნელობა არ ჰქონდა. იგი დაუკავშირდა ერთ დაუვიწყარ მოგონებას. დამთავრდა თამაში და თითქმის მაშინვე გამარჯვებით აღტაცებულ ქართველ კალათბურთელებს ხანდაზმული მამაკაცი მიუახლოვდა. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. იგი სიხარულისგან ტიროდა და ამბობდა: ეს თქვენი გამარჯვება ჩემი ოცდაათწლიანი ემიგრაციის ყველაზე კარგი დღეაო. მან ხაზარაძე და მისი თანაგუნდელები რესტორანში მიიპატიჟა გამარჯვების აღსანიშნავად, დათქვეს კიდეც შეხვედრის ადგილი, მაგრამ, მოგეხსენებათ, რა დროც იყო და პაემანი არ შედგა... ეს ხანდაზმული ქართველი გრიგოლ რობაქიძე იყო.

ახლა, რაც შეეხება 1959 წლის საკავშირო სპარტაკიადის საკალათბურთო ტურნირში საქართველოს ნაკრების ვერცხლის მედლებს. შესაძლოა, ეს ვერცხლი მნიშვნელობით ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს" გამარჯვების ტოლფასი იყო, და აი, რატომ.

ამ მატჩში იყო ყველაფერი: ფანტასტიკური კალათბურთი, თავდავიწყება, გაუგონარი აზარტი, დრამა, არნახული პარადოქსი, როცა სამმა ქართველმა ნახევარფინალური მატჩის დასასრულს ხუთ ლატვიელს არათუ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, არამედ საბოლოოდ თამაში მოიგო კიდეც. ასეთი რამ არ ახსოვს არც ქართულ კალათბურთს, არც მაღალი კლასის საერთაშორისო შეხვედრების ისტორიას. იმხანად ლატვიის ნაკრები კალათბურთის თავისებურ ეტალონად ითვლებოდა უმდიდრესი ტრადიციებით და თამაშის კლასით. ძნელი სათქმელია, რამ გაამარჯვებინა ქართულ გუნდს ასეთ არათანაბარ პირობებში. შეიძლება თამაშის შედეგი სასწაულს მივაწეროთ, მაგრამ უმადურობაში ჩამოგვერთმევა, თუ გამოვრიცხავთ რაღაც არაამქვეყნიური აღმაფრენის ელემენტს. როგორც ჩანს, განსაკუთრებული შთაგონება და აღმაფრენა ქართველს მარტო სპორტში არ გამოარჩევს, ეს თვისებები ნიშანდობლივია მისთვის, საერთოდ, ყველანაირ ექსტრემალურ სიტუაციაში.

უამრავი მატჩიდან, რომლებშიც თავისი კარიერის მანძილზე მონაწილეობდა ლარიკა ხაზარაძე, მე განსაკუთრებით მინდა გამოვყო ორი თამაში. შესაძლოა, ეს მატჩები ყველაზე გამორჩეული არ არის კალათბურთელის ბიოგრაფიაში, მაგრამ მისი პორტრეტის ტიპიურ შტრიხებს წარმოაჩენს. პირველი მატჩი თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ გაიმართა. იმხანად საყმაწვილო კალათბურთში ქუხდა თბილისის „ტონოს" (განათლების განყოფილების გუნდი) სახელი. სწორედ იგი იყო დიდი კალათბურთის სამომავლო კადრების აღმზრდელი ცენტრი. მოხდა ისე, რომ „მომავლის გუნდი", ანუ „ტონო" დედაქალაქის პირველობის ფინალში თბილისის „დინამოს" შეხვდა. თუმცა ყმაწვილებთან მატჩში „დინამოს" უძლიერესი შემადგენლობა არ გამოუყვანია, მაგრამ მაინც ყველა განაცვიფრა „ტონოს" მოულოდნელმა გამარჯვებამ. ამ თამაშის თვითმხილველი მეც გახლდით. ყველა დეტალი არ მახსოვს, მაგრამ სამუდამოდ დამამახსოვრდა სრულიად ახალგაზრდა ლარიკა ხაზარაძის თამაში. მისი დამოკიდებულება კალათბურთისადმი, გუნდისადმი, მისი გაუნელებელი ენთუზიაზმი, ფანტაზია უკვე მაშინ ყველასთვის ცხადი იყო. როგორც ჩანს, „დინამოს" ხელმძღვანელობამ ამ მატჩში თვალი დაადგა უნიჭიერეს კალათბურთელს და მცირეოდენი ხნის შემდეგ რესპუბლიკის უძლიერეს გუნდში მიიწვია. ეს იყო „დინამოსთვის" საუცხოო კადრი, ხაზარაძისთვის კი ყველაზე დიდი ოცნების ახდენა.

გამოხდა ხანი. 1959 წლის საკავშირო ჩემპიონატის ყველაზე პრინციპულ მატჩში თბილისის „დინამომ" მოსკოვში არმიელთა უძლიერეს გუნდს სძლია. გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" ამ მატჩის რეცენზიის სათაურად გამოიტანა ცენტრალური ფრაზა: „ილარიონ ხაზარაძემ გორდიას ნასკვი გაკვეთა".

ეს მატჩი ხაზარაძისათვის ჩვეულებრივი არ ყოფილა. მიმომხილველმა იგი თამაშის ცენტრალურ ფიგურად წარმოსახა. ყველაზე კრიტიკულ სიტუაციებში ხაზარაძე ლიდერის როლს ასრულებდა და შეუპოვრად უტევდა მეტოქის ფარს. როგორი დიდი იყო მოსკოველთა სიხარული, როცა იმ მატჩში თბილისელთა მრისხანე ცენტრმა მოედანი დატოვა, მაგრამ ხაზარაძეს უკვე იმდენი ქულა ჰქონდა მოპოვებული გუნდისთვის, რომ არმიელებმა მხოლოდ ანგარიშის შემცირებაღა შეძლეს.

სწორედ ასეთი ახსოვთ გულშემატკივრებს ლარიკ ხაზარაძე, რომელსაც დღეს 70 წელი შეუსრულდა.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია
70 წლისთავს ულოცავს 1962 წლის ევროპის ჩემპიონთა
თასის მფლობელს, თბილისის „დინამოს" მოთამაშეს
ილარიონ ხაზარაძეს
და უსურვებს მას ჯანმრთელობას და დღეგრძელობას

ბატუტზე ხტომა

# ბატუტის სიმაღლიდან დანახული პეკინი



საქართველოს ბატუტზე მხტომელები, რომლებსაც საკმაოდ საამაყო წარსული აქვთ და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურიდან არაერთხელ გადმოუხედავთ, ამ დღეებში ძალიან გახარებულნი არიან. ერთი სული აქვთ, როდის გამართავენ ჯერ კიდევ შეფუთულ ახალთახალ ბატუტს, რომელიც გასულ კვირას ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციისგან საჩუქრად მიიღეს.

ბატუტზე მხტომელთა ნაკრების უფროს მწვრთნელ *ზაურ სულაშვილთან* საუბარი სწორედ ამ ბატუტით დავიწყეთ

— ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე სპორტსმენები სწორედ ამგვარ ბატუტზე გამოდიან და ამიტომაც ეს საჩუქარი ძალიან გვახარებს. ამ საჩუქარს საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ რუსუდან ხოფერიას უნდა ვუმადლოდეთ, რომელიც ამ ორგანიზაციაში ბატუტზე ხტომას კურირებს. ეს ბატუტი სწორედ მისი დამსახურებაა.

**— რუსუდან ხოფერია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების სამ-სამგზის ჩემპიონი კია, მაგრამ არა მგონია, ეს ბატუტი მხოლოდ მისი ტიტულებისა და, როგორც იტყვიან, ლამაზი თვალების გამო ეჩუქებინოთ.**

— საერთაშორისო ფედერაციამ დაინახა პროგრესი და წარმატება, რომლებიც ჩვენს ბატუტზე მხტომელებს ბოლო წლებში აქვთ. მაგალითად, ლიუბა გოლოვინა ბოლო ორი წლის განმავლობაში ახალგაზრდებში ყველა უმაღლესი ტიტულის მოიპოვა. შარშან საფრანგეთის ქალაქ მეცში ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა, მერე კი მასთან ერთად თამარ კაკაშვილმა და ნანა ლუჭაშვილმა გუნდური ბრინჯაოს ჯილდოც მოიპოვეს. ეს ბრინჯაო ოქროზე არანაკლებ წონიანი იყო, მით უმეტეს, რომ ჩვენმა ბატუტისტებმა გუნდური ბრინჯაო პირველად ირგუნეს. თანაც ჩვენი სამეულიდან თამარ კაკაშვილი მხოლოდ ცამეტი წლისა იყო, ნანა ლუჭაშვილი კი — თექვსმეტის და 17 წლის სპორტსმენებს ეჯიბრებოდნენ. ეს და სხვა წარმატებები საერთაშორისო ფედერაციამ დაინახა და დაგვიფასა კიდეც. რუსუდან ხოფერიამ კი თავისი ავტორიტეტით ხელი შეგვიწყო. ასე რომ, ახლა ახალი, თანამედროვე ბატუტი გვაქვს, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**— კი მაგრამ, რამდენიმე წლის წინათაც ხომ მიიღეთ ორი ახალი, თანამედროვე ბატუტი საჩუქრად. როგორც ხუმრობდნენ, იმ ბატუტებში ჩვენი ანა დოლონაძე გერმანელებთან თხასავით გავცვალეთ, მან კი მერე ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა მოიპოვა.**

— ანა დოლონაძე გერმანიაში გათხოვდა და იქაური მოქალაქე გახდა, თუმცა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე რომ გამოსულიყო, წესით და რიგით, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და ჩვენს ფედერაციას ნებართვა უნდა მიეცა. ასეც მოხდა. აბა, ოჯახს ხომ არ დაუნგრევდნენ?! ნებართვის სანაცვლოდ კი გერმანელებმა ის ორი ახალი ბატუტი მოგვცეს, მაგრამ, როგორც ყველაფერი, ისიც გაცვდა და მოძველდა. საერთოდ, ბატუტი მალე ცვდება, კარგავს ელასტიურობას, ზამბარები იწელება, ლითონის კონსტრუქციები ირყევა. ამიტომაც უცხოეთში წამყვანი სპორტსმენები სამ თვეში ერთხელ ბატუტს იცვლიან.

**— ისიც გვახსოვს, რუსუდან ხოფერიას სიდნეისა და ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პერიოდში თბილისში ნორმალურ ბატუტთან ერთად დარბაზში გათბობა, სინათლე და სხვა ელემენტარული პირობები რომ ენატრებოდა და ამის გამო გერმანიაში ან დოლონაძესთან უწევდა ვარჯიში...**

— საბედნიეროდ, სანაპიროზე, ოლიმპიური მზადების ცენტრში ამ მხრივ ბევრი რამ გამოსწორდა და ახლაც სწორდება. ეს საქმე თბილისის სპორტული სამსახურის ყოფილმა უფროსმა გიორგი უდესიანმა დაიწყო, მერე კი მოვალეობის შემსრულებელმა ზაზა დოლიძემ განაგრძო. ამის შემდეგ შენობა გარედან დამშვენდა, შიგნით კი ერთი დარბაზი კარგად გარემონტდა; მოგვარდა გათბობისა და განათების საქმეც, ბევრი სხვაც გაკეთდა და გვპირდებიან, რომ იქვე მეორე დარბაზიც გარემონტდება.

**— მიღწეული შედეგები და პროგრესი ალბათ თქვენი ბიუჯეტის გაზრდითაც დაფასდებოდა.**

— სამწუხაროდ, ჯერ ცნობილი არაა, რამდენს გამოგვიყოფს საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და ოლიმპიური ფონდი. ეს ფონდი ძალზე გვეხმარება. როგორც გვპირდებიან, მისგან დაფინანსების მოცულობა აპრილამდე გაირკვევა და, იმედია, გულნაკლულებს არ დაგვტოვებენ.

**— კი მაგრამ, მანამდე გამართული შეჯიბრებებისას შინ ჯდომას აპირებთ?**

— ჩვენთვის სეზონი სწორედ აპრილის პირველ რიცხვებში იწყება. სტარტი კანადაში მსოფლიოს თასის ეტაპზე გვექნება. ამას მოჰყვება მომდევნო ეტაპები ამერიკაში, ბულგარეთში, პოლონეთში, რუსეთში და ჩინეთში, ბოლოს კი წოწილებს შემოდგომაზე, ისევ კანადაში, ვანკუვერში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე დავითვლით.

**— მაინც, რას გულისხმობთ წოწილებში?**

— რა თქმა უნდა, ოლიმპიურ ლიცენზიებს. ამ და სხვა შეჯიბრებებთაგან სალიცენზიო სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატია. ქალებშიც და კაცებშიც მხოლოდ 16-16 ლიცენზია განაწილდება.

**— ყველაზე მეტად ვისი გეიმედებათ?**

— უპირველეს ყოვლისა, ლიუბა გოლოვინასი, რომელმაც ახალგაზრდულ შეჯიბრებებში გამოსვლა დაასრულა და ახლა უფროსებში გამოვა. ამის მიუხედავად ვიმედოვნებთ, რომ იმ თექვსმეტიდან ერთი ლიცენზია სწორედ მისი იქნება. თუ ეს მოხერხდა, მიზანი მიღწეულად ჩაითვლება, თუმცა მეორე ლიცენზიისთვისაც ვაპირებთ ბრძოლას. ვაპირებთ. აქ კი თენგიზ კოშკაძისა გვეიმედება, რომელსაც შარშან ვაჟთა შეჯიბრებებში პირველი სეზონი ჰქონდა. იგი მზარდი, პერსპექტიული ბატუტისტი და მსოფლიოს თასის ფინალისტია. ვფიქრობ, მას ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად ბრძოლის უნარი შესწევს.

გოლოვინასთან და კოშკაძესთან ერთად სხვა თბილისელებიც იბრძოლებენ, მაგალითად, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი სოფო გულიაშვილი, ასევე ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი ნანა ლუჭაშვილი, რომელიც წლეულს გოლოვინასავით პირველად გამოვა ქალთა ტურნირებში. ვაჟებიდან კოშკაძეს ზურგს გაუმაგრებს ბათუმელი ზურაბ ჭყონია, რომელიც ასევე მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალისტია. ვინ იცის, იქნებ რომელიმე მათგანმა ოლიმპიურ ლიცენზიას გამოჰკრას ხელი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ახალგაზრდა თაობა გვეზრდება, რომელიც პეკინის იქითაც გვახედებს.

ავთანდილ ჭყვიშელი



ლიუბა გოლოვინა
ჩვენი ნაკრების მთავარი იმედია

ჭიდაობა



რამაზ ნოზაძემ სეზონი გამარჯვებით დაიწყო

# ბერძენ-რომაელებმა ფრანგული შეაფასეს

**ფრანგული** საერთაშორისო ტურნირიდან გუნდური პირველი ადგილით დაბრუნებულმა ბერძენ-რომაელებმა გუშინ პრესკონფერენცია მოაწყვეს. მასმედიას დელეგაციის ხელმძღვანელი და შეჯიბრის მსაჯი თემურ ყაზარაშვილი, ნაკრების მწვრთნელი ბეგი დარჩია და ჩემპიონ-პრიზიორები: რამაზ ნოზაძე (96 კგ), დავით ბედინაძე (60 კგ) და გენადი გოგიშვილი (74 კგ) შეხვდნენ.

შეგახსენებთ, ნოზაძე ჩემპიონი გახდა, ხოლო ბედინაძე-გოგიშვილმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს. მეოთხე მედალი მძიმეწონოსანმა რევაზ ჭელიძემ აიღო. იგი მესამე ადგილზე გავიდა.

თემურ ყაზარაშვილი: „ამ ტურნირზე თითქმის ყოველ წელს გამოვდივართ, მაგრამ გუნდური ჩემპიონები აქამდე არასოდეს გავმხდარვართ. წლეულს ტრადიციულად ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. გამორჩეულად კარგი გუნდი კუბელებს ჰყავდათ და მთავარი ბრძოლა მათთან გაიმართა. ხუთჯერ მოგვიწია დაპირისპირება და სამჯერ მოვუგეთ. საბოლოოდ კი ერთი ქულით გავუსწარით. ცხრაკაციანი გუნდიდან ოთხი კვარცხლბეკზე ავიდა. მშვენიერი შედეგია, თუმცა მეტიც შეიძლებოდა."

შეგირდების გამოსვლით *ბეგი დარჩია* კმაყოფილია:

„სეზონის პირველ საერთაშორისო ტურნირზე გამოცდილ მოჭიდავეებთან ერთად ახალგაზრდებიც წავიყვანეთ და ყველამ ნორმალურად წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები. განსაკუთრებით კმაყოფილი, რა თქმა უნდა, ნოზაძის გამოსვლით ვარ. ოქროს მედალი დამაჯერებლად მოიგო. ბედინაძემ ფინალში აზერბაიჯანელ ევროპის ექსჩემპიონ რაჰიმოვთან წააგო, გოგიშვილმა კი — რუს მსოფლიოს და ოლიმპიურ ჩემპიონ სამურგაშევთან. ჭელიძე პირველსავე წრეში კუბელ მსოფლიოს ჩემპიონ ლოპესს შეხვდა, მაგრამ კოჭი იტკინა და ხალიჩიდან დროზე ადრე გამოვიყვანეთ, რადგან შეიძლებოდა, ტრავმა გაემიზეზებინა. ცოტა ხანში გაირკვა, რომ რისკი საშიში არ იყო, რეზომ ბრინჯაოსთვის განაგრძო ბრძოლა და მიზანსაც მიაღწია."

ნაკრების თავკაცმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. გაზაფხულის მთავარი ტურნირი, ევროპის ჩემპიონატი, ბულგარეთში აპრილის შუა რიცხვებში გაიმართება. იქამდე ბერძენ-რომაელები მსოფლიოს თასზე და ტაშკენტის საერთაშორისო ტურნირზე აპირებენ ჭიდაობას.

ოთარ მაღლაკელიძე

სროლა

# პნევმატური სტარტი

**საქართველოს** ტყვიის მსროლელთა ნაკრები გერმანიიდან დაბრუნდა. 25-27 იანვარს დორტმუნდმა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა და სხვებთან ერთად მასზე შვიდკაციანი ქართული გუნდიც გამოვიდა. გერმანული ტურნირი 12-18 მარტს, ფრანგულ დევილში ჩასატარებელი ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპადაა მიჩნეული და მონაწილეებმა მხოლოდ პნევმატური პისტოლეტებით ისროლეს. ამასთან, ორგანიზატორებმა ყველას ორი სტარტის შანსი მისცეს.

ქართველების გერმანულ გამოსვლაზე გუშინ ოლიმპიურმა ჩემპიონმა *ნინო სალუქვაძემ* გვიამბო:

„დორტმუნდში საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირი ჩატარდა და სეზონის დასაწყისისთვის ნორმალური შედეგიც ვაჩვენეთ. პირველ სტარტზე 384 ქულა დავაგროვე და ფინალში მეოთხე ადგილით შევედი. იქ კი მეორეზე გავედი. ახალგაზრდა ნინო უჩაძემ და თამილა ასათიანმა 371 და 367 ქულა მოაგროვეს. მეორე სტარტზე ნინომაც და თამილამაც გააუმჯობესეს შედეგები — 379 და 376 ქულით. მე ისევ 384 ქულა ვაჩვენე ეს ფინალში გასასვლელად უკვე საკმარისი აღარ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავედით.

...კაცებში ბესო სირაძემ (567 და 561), სერგო ჩიტაიშვილმა (558 და 565) და ლევან ქადაგიძემ (553 და 556) ისროლეს. განსაკუთრებით სასიხარულო სირაძის კარგი დებიუტია. საერთაშორისო ტურნირზე პირველად გამოვიდა და 567 ქულით უმალ პირადი რეკორდი დაამყარა. პირადი რეკორდი — 366 ქულა აჩვენა თეონა იაშვილმაც, რომელიც ახალგაზრდებს შორის გამოდიოდა. მეორე სტარტზე თეონამ 358 ქულა მოაგროვა."

ოთარ მაღლაკელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სერენა უილიამსი: მე, ყველაზე მაგარი!
## უნიკალური სტილი და ამოუწურავი ენერგია

მუდმივი ტრავმებით ორი წლის განმავლობაში განაწამები სერენა უილიამსი წლის პირველი სლემტურნირიდან თვითონაც განსაკუთრებულს არაფერს მოელოდა, მაგრამ რეიტინგში 81-ე ადგილამდე დაქვეითებულ ამერიკელს მადა ჭამაში მოუვიდა და რამდენიმე ურთულესი თამაშის გადალახვის შემდეგ პირველობის დასკვნითი მატჩებში უმაღლესი დონის ჩოგბურთი ითამაშა, რაც კარიერაში მოგებული მერვე სასლემო ტიტულით დასრულდა. მორიგი, უკვე მესამე ავსტრალიური ტრიუმფის შემდეგ სერენა უზომოდ გახარებული და თვითდაჯერებული იყო


AFP

— დღევანდელი ტრიუმფი რა ადგილს დაიკავებს თქვენი გამარჯვებების მდიდარ კოლექციაში?

— უპირველესთა შორის იქნება, რადგანაც მეც კი არ ველოდი აქ გამარჯვებას. რა თქმა უნდა, კორტზე წასაგებად არასოდეს გავდივარ და მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობ, ყველაფერს ვაკეთებ წარმატებისთვის, მაგრამ რბილად რომ ვთქვათ, ტურნირის წინ ჩემს სასარგებლოდ არაფერი მეტყველებდა.

— ფინალის წინა გეგმა როგორი იყო — ნელ-ნელა მოგემატებინათ, თუ თავიდანვე გაგეტეხათ მეტოქე აგრესიული თამაშით?

— მხოლოდ მინდოდა, საკუთარი თამაში მეჩვენებინა, რასაც მთელი ტურნირის განმავლობაში ვერ მოვაბი თავი, მაგრამ ფინალში გამომივიდა. უკანა ხაზიდან ყოველთვის კარგად გამომდის თამაში — ასე გამზარდეს და მასწავლეს, ამას მიჩიჩინებდნენ მშობლები და დღესაც ზუსტად ამით ვიხეირე.

— არ გაგიკვირდათ, რომ მარიამ (შარაპოვა) ვერაფერი დაგიპირისპირათ?

— როგორც ვთქვი, როცა თამაში გამომდის, ჩემი გამკავებელი არავინაა, ყოველ შემთხვევაში, ქალთა ჩოგბურთში მაინც. მე ხომ უნიკალური სტილი მაქვს, უნიკალურად ვთამაშობ. და საერთოდ, ჩოგბურთის სათამაშოდ ვარ დაბადებული. ამიტომ ჩემს წინააღმდეგ ყველას უჭირს. მაგრამ ისეც არ ყოფილა, რომ მარია არაფერს აკეთებდა — ის ყოველი ბურთისთვის ბოლომდე იბრძოდა, რის გამოც ქების ღირსია და მეც დიდ პატივს ვცემ.

— ერთია თქვენი დამარცხება და მეორე ყურების ჩამოყრა. მარიასგან ასეთ რამეს ელოდით?

— იცით, ასეთი რამ სულ არ შემიმჩნევია. მე მხოლოდ იმაზე შემიძლია, ვილაპარაკო, რომ ძალიან კონცენტრირებული გაველი კორტზე — მზად ვიყავი, ყველა ბურთისთვის და გათამაშებისთვის მებრძოლა და ჩემი თამაში თავს მომეხვია მეტოქისთვის. ეს როცა გამომდის, არანაირი მნიშვნელობა აღარა აქვს, კორტის მეორე მხარს ვინ დგას და რეიტინგში რა ადგილზე იმყოფება — ჩემი დამარცხება ყველას გაუჭირდება.

— უკანასკნელ წლებში ბევრი გაგიცდათ. არასოდეს გიფიქრიათ, რომ ვეღარ მოახერხებდით გამარჯვებულებს შორის დაბრუნებას?

— ყოველთვის არის მომენტები, როცა ამდგავარი აზრები გაგიელვებს ხოლმე თავში. ფიქრობ — ნეტავ კიდევ ველირსები რომელიმე ტიტულის ახლოდან ნახვას მაინც? მით უმეტეს, თითქმის ორი წელი არაფერი მომეგო. მაგრამ მშობლები ყოველთვის პოზიტიურად იყვნენ განწყობილნი ჩემი მომავლისადმი, ჩემს დას, ვენუსსაც ყოველთვის სჯეროდა ჩემი შესაძლებლობების და მათი დახმარებით შევძელი ამ ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევა.

— ეს გამარჯვება როგორ იმოქმედებს თქვენს მოტივაციაზე?

— მზად ვარ, დღესვე დავიწყო ვარჯიში. ახლა ნელ-ნელა გრუნტზე უნდა გადავიდე. სახლში რომ ჩავალ, მამას გავუზიარებ ჩემს აზრებს, თუ რა კომპონენტებში უნდა მოვუმატო და ამაზე მუშაობას აუცილებლად დავიწყებ — ჩემი თამაში ახალ დონეზე უნდა ავიყვანო.

— ყოველთვის მცირე რაოდენობის ტურნირებზე თამაშობდით. წლეულს ამ ტრადიციას უღალატებთ? უახლოესი გეგმები როგორია?

— ჩემი შემდეგი ტურნირი ინდოეთში იქნება, ბანგალორში. მოუთმენლად ველი იქ ჩასვლას — ინდოეთზე ბევრი მსმენია, მაგრამ ერთხელაც არ ვყოფილვარ. ამას გარდა ჩავალ დუბაიში და კიდევ რამდენიმე ტურნირზე გამოვალ. თუმც გადატვირთული გრაფიკი ნამდვილად არ მექნება — მშვენივრად ვიცი, რამდენი და სად უნდა ვითამაშო, ფორმის შენარჩუნებაც რომ მოვახერხო და არც გადავიღალო.

— ამ გამარჯვებას როგორ აღნიშნავთ?

— ალბათ ოჯახთან ერთად. მერე ვნახოთ. წინასწარ არაფერი დამიგეგმავს, რადგანაც აქ გამარჯვებას არ ველოდი.

— შთაბეჭდილება იქმნება, რომ საკუთარ თავს ზეიმის საშუალებას არ აძლევთ...

— იცით, როგორ არის — კი ვიცი, რომ ტურნირი მორჩა, მაგრამ იმდენი დაუხარჯავი ენერგია დამრჩა, რომ მზად ვარ კორტზე ახლავე გავიდე სათამაშოდ. ისეთი განწყობა მეუფლება, თითქოს ხვალ კიდევ ერთი მატჩი მაქვს ჩასატარებელი და იმისთვის უნდა მოვემზადო. იმედია, თანდათანობით მოვეშვები.

— კაცების ნახევარფინალები ნახეთ?

— დიახ და დიდი სიამოვნებაც მივიღე. მერე კი დავფიქრდი — რადგან ფედერერსა და გონსალესს შეუძლიათ მეტოქეების ასე განადგურება, მე რატომ ვერ უნდა მოვახერხო-მეთქი.

— კაცების ნახევარფინალებში კარგი ჩოგბურთი ვერ ვიხილეთ. ფინალისგან რას მოელით?

— კარგი ჩოგბურთი ვერ იხილეთ? კი მაგრამ, მეტი რა გინდოდათ? ჯერ იყო და ფედერერმა სუპერჩოგბურთი ითამაშა და უბრალოდ, გადაუარა მეტოქეს, თან ვის — ენდი როდიკს. მერე კი გონსალესმა კიდევ უფრო შთამბეჭდავად მოუგო ტომის (ჰაასს). ამაზე მეტი რა უნდა გენახათ? მე, როგორც ჩოგბურთელმა, ორივე მატჩისგან უდიდესი სიამოვნება მივიღე.

— ასეთი მარცხის შემდეგ შარაპოვას ფსიქოლოგიურად არ გაუჭირდება მომავალში თქვენი დამარცხება?

— ეჭვი მეპარება. მარია ახლა სახლში წავა, გამალებით დაიწყებს ვარჯიშს და თავისი თამაშის გამოსწორებას, რათა აღარ დაუშვას ასეთი რამ. 7:5 7:5 რომც წაეგო, მაინც თავს მოიკლავდა ვარჯიშით და მეც აუცილებლად იმავეს ვიზამდი მის ადგილზე. მაგრამ მაინც ვაპირებ ინტენსიურ ვარჯიშს და მომატებას, რადგანაც ვიცი, რომ შარაპოვა თუ არა, სხვა ვილაც „ოვა", რომელიც ახლა მხოლოდ თორმეტი წლის არის და სადღაც რუსეთში ვარჯიშობს ძალიან მალე ჩემს დამარცხებას შეეცდება. მე კი ეს არ უნდა დავუშვა.

— ფედერერმა, ნახევარფინალში როდიკის განადგურების მიუხედავად, მაინც მატჩის წინა შიშებზე და ეჭვებზე ილაპარაკა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა?

— რა თქმა უნდა, ჩოგბურთელი არ მეგულება, ნებისმიერ შეხვედრის წინ ეჭვები არ ღრღნიდეს და რამე არ აშინებდეს. მეც მეშინოდა — ბოლოს და ბოლოს, ნომერ პირველი ჩოგბურთელის წინააღმდეგ მიწევდა თამაში.

— ადრე განაცხადეთ, რომ გაზეთების კითხვა არ გიყვართ, მაგრამ ხვალაც არ მოჰკიდებთ ხელს? არ გინდათ თქვენი ქების წაკითხვა?

— არ ვიცი, ვნახოთ. ჯერ არ გადამიწყვეტია.



## რეგულარული ჩემპიონატი
# №29 კენ დრაიდენი

29 იანვარი

**ბოსტონი 1:6 რეინჯერსი**

1:2 0:2 0:2

0:1 პრუხა (10), 1:1 ბერჟერონი (11), 1:2 როზივალი (19), 1:3 პრუხა (27), 1:4 კალენი (30), 1:5 შენაჰენი (47), 1:6 ნიულანდერი (48)

**მონრეალი 3:1 ოტავა**

0:1 3:0 0:0

0:1 ფილიპსი (1), 1:1 სურეი (31), 2:1 შტრაიტი (33), 3:1 პლეკანეცი (34)

**მონრეალის** ერთ-ერთ მშვენება „ბელ ცენტრის" თაღს მორიგი მაისურა დაამშვენებს — „კანადელებმა" კიდევ ერთი ლეგენდა დააფასეს და მისი ნომერი და სახელი უკვდავყვეს. ამჯერად ეს პატივი 70-იანი წლების დიდი მონრეალური დინასტიის კარის დარაჯ კენ დრაიდენს ერგო.

დრაიდენი იმ მეკარეთაგანია, კარიერის განმავლობაში თითქმის ყველაფერი რომ მოუგია — ის ექსგზის სტენლის თასის მფლობელია, სამჯერ საუკეთესო მეკარის ტიტული აქვს მოპოვებული და პლეი ოფების უძვირფასესი მოთამაშეც გამხდარა. რეგულარულ ჩემპიონატში ჩატარებული 258 მატჩიდან მხოლოდ 57 წააგო. გარდა ამისა, დრაიდენი გასული საუკუნის 70-იანი წლების ლეგენდად ქცეულ კანადა-საბჭოთა კავშირის დაპირისპირებებში ჩრდილოამერიკელთა კარებს იცავდა.

მოკლედ, დრაიდენს დამსახურებული პატივი მიაგეს და ამიერიდან „მონრეალში" 29 ნომრით ვეღარავინ ითამაშებს.

ერთი-ორი სიტყვა გასული კვირის ვარსკვლავებზეც ვთქვათ:

პირველობა „პიტსბურგელ" ვეტერან მარკ რეკის ერგო, რომლის ანგარიშზე 6 (ქულა 3+3) იყო და რომელმაც ნჰლ—ში თავისი მე-500 შაიბა შეაგდო. მას „კოლუმბუსის" ფინელი მეკარე ფრედრიკ ნორენა მოსდევს, მესამე ვარსკვლავად კი „ედმონტონის" მთავარი ბომბარდირი რაიან სმიტი დასახელდა.

**ქახა ლომჯგვილი**



## მსოფლიოს XX ჩემპიონატი
ჰაცები, გერმანია. 19 იანვარი – 4 თებერვალი

**გუშინ** ტურნირზე უკომპრომისო სამედლო ომი დაიწყო, წაგებული ბრძოლას ეთიშებოდა. კიოლნის ვეება, 18-ათასიან „არენაზე" ერთმანეთს ფავორიტები შეებნენ — მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი და ევროპის ექსჩემპიონი მასპინძელთა ნაკრები, ოლიმპიური ჩემპიონი ხორვატია და კონტინენტისა — საფრანგეთი.

ჰამბურგული წყვილები ნაკლებმხმაურიანი იყო: საშუალოძალიანი ისლანდია და დანია, აგრეთვე, ამჟამად აღზევებული პოლონეთი, რომელიც მსოფლიოს წინა ფორუმზე საერთოდ ვერ მოხვდა 24 მონაწილეს შორის და ოდესღაც მრისხანე რუსეთი, ამჯერად რომ ძლივს გაძვრა მეოთხედფინალში, ლამის საფინალო სასტვენთან ერთად, ვეტერან ედუარდ კოკშაროვის მიერ კონკურენტ უნგრელთა კარში გატანილი თავისი მეათე გოლით.

ხვალ ნახევარფინალში ითამაშებენ: გერმანია — საფრანგეთი, პოლონეთი — დანია.

### მეოთხედფინალი

**პოლონეთი 28:27 რუსეთი**
**გერმანია 27:25 ესპანეთი**
**ხორვატია 18:21 საფრანგეთი**
**ისლანდია 41:42 დანია**


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორღოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კუთალაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წურწუმია

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00